645
1974

# საბჭოთა ქალი

აპრილი
№ 4 1974 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიმდინარე წლის 15 თებერვალს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტს.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომაროვმა.

ბ. ნ. პონომაროვმა აღნიშნა საბჭოთა ქალების უდიდესი წვლილი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, მათი მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგებში, მათი გულმხურვალე მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში — საერთაშორისო უშიშროებისათვის, მსოფლიოს ხალხთა სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დასასრულ ბ. ნ. პონომაროვმა ყველა საბჭოთა ქალს უსურვა შემდგომი გამარჯვებანი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობა, ბედნიერება და შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ხალხთა მეგობრობის ორდენი მიაბნია საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის დროშას.

სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა-კოსმონავტმა ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ მილიონობით საბჭოთა ქალის სახელით მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსათვის და აღუთქვა პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ ქალები კიდევ მეტი გულმხურვალებით იშრომებენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, თავის წვლილს შეიტანენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის შეკავშირებასა და შემდგომ განვითარებაში.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვ. ი. ლენინი**
მხატვარი გ. გელოვანი

12403

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა



# საშვილიშვილო საქმე

**ზუგდიდში შენდება ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ შრომის ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია. ზუგდიდის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ქარხნის მშენებლობა კომკავშირის დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადა. შეიქმნა ბეტონის დამამზადებელი ქალთა ბრიგადა. მშენებლებმა ივალდებულეს 1975 წლის მე-3 კვარტალში დაამთავრონ ქარხნის აგება.**

ბუგუნებენ ბულდოზერები, სკრეპერები. ცამდე აწვდილა რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რკინის კასკადები. ერთმანეთს მისდევენ თვითმცლელ მანქანათა ქარავნები. მანქანებთან ფუსფუსებენ მკლავდაძარღვული ჭაბუკები, ზოგს აგური გადმოაქვს მანქანიდან, ზოგს ხე-ტყის მასალა, ზოგს ცემენტი. ახლა აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა დაძაბული შრომის რიტმი, იგრძნობა, როგორ აიტაცეს მშენებლებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, ხალხისადმი. ყველა მუშა, ინჟინერი თუ ტექნიკოსი იბრძვის შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, დასახული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის...

ქ. ზუგდიდში ფაიფურ-ქაშანურის ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ 1972 წლის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მშენებლობის ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს სამუშაო მოედნის მომზადება, თავის დროზე ვერ დაუკვეთეს მშენებლობისათვის საჭირო მექანიზმები, სამშენებლო მასალა, კონსტრუქციები. შეიქმნა დიდი დაბრკოლება. მშენებლობის ტემპი კუს ნაბიჯით მიდიოდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე აღინიშნა ფაიფურის ქარხნის მშენებლობის ჩამორჩენა.

ზუგდიდის პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მშენებლებთან ერთად იმსჯელეს ამ საკითხზე და დასახეს ღონისძიებანი. გადახალისდა ხელმძღვანელი კადრები. მე-6 სამშენებლო სამმართველოს უფროსად დაინიშნა თავის საქმის კარგი სპეციალისტი სულიკო ციმინტია.

მე-6 სამმართველო მშენებლობის მთავარი ბირთვია. იგი აშენებს ქარხნის მთავარ და დამხმარე კორპუსებს, საქვაბეს, კანალიზაციას, ერთ კილომეტრიან რკინიგზის ჩიხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. სულიკოს მხარში ამოუდგნენ ქალაქ ქუთაისის ლითონკონსტრუქციების სამმართველოს უფროსი ჟ. კვიტაიშვილი, მექანიზაციის სამმართველოს უფროსი გ. სულაქველიძე და პირველი სატრანსპორტო-სატვირთო კანტორის უფროსი შოთა მიქელაძე.

კომკავშირმაც თქვა თავისი სიტყვა. ზუგდიდის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ფაიფურის ქარხნის მშენებლობა კომკავშირის დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადა.

შაბათობაზე ენგურჰესის მშენებლობიდან, ენგურქაღალდის კომბინატიდან, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკიდან იწყეს დენა კომკავშირელებმა. ყველა ზუგდიდელმა ახალგაზრდამ ივალდებულა თავისი წვლილი შეეტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. მშენებლობაზე სკოლის მერხიდან კომკავშირის საგზურით მივიდნენ: ავთანდილ ცანავა, მალხაზ კაკულია, ავთანდილ ჭითანავა, ვლადიმერ კაკულია, ვახტანგ ჯგუშია, გიორგი ყალიჩავა და სხვები. ჩამოყალიბდა კომკავშირული ბრიგადა. ბრიგადას სათავეში ჩაუდგა როინ გეგეჭკორი. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შეიქმნა ახალ-ახალი დამკვრელური ბრიგადები, რგოლები. ჩამოყალიბდა ბეტონის დამამზადებელი ქალთა ბრიგადა. მას ზინაიდა შესტაკოვიჩი ჩაუდგა სათავეში. ქალებმა დღეში 40-50 კუბური მეტრი ბეტონი უნდა დაამზადონ, ამზადებენ კი ბევრად მეტს.

ქალთა ბრიგადამ კომკავშირული ბრიგადა გამოიწვია შეჯიბრებაში. კომკავშირელები იატაკებს აბეტონებენ და გეგმას ასი პროცენტით ასრულებენ.

მემონტაჟეები ელექტროშემდუღებლებს ეჯიბრებიან. 1973 წლის ივნისიდან დეკემბრამდე მემონტაჟეებმა (ბრიგადირი ა. სარქისოვი) მთავარ საწარმოო კორპუსში 1.250 კუბური მეტრი რკინა-ბეტონისა და ლითონის კონსტრუქცია დაამონტაჟეს და გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ელექტრო-შემდუღებლებმა გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს, რისთვისაც ბრიგადირმა ნიკოლოზ ვეკუამ ქების სიგელი მიიღო. ზუგდიდელებმა იგი საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ახალგაზრდა გზის ოსტატს ხუტა თორიას რკინიგზა შემოჰყავს ენგურჰესის მშენებლობის კვანძიდან. იგი ღირსეულად დადგა შრომის ვახტზე და დაკისრებულ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებს.

მშენებლობის ყველა ფრონტზე გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. შემართებული შრომის შედეგად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა მშენებლებმა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი დროშა დაისაკუთრეს.

ფაიფურ-ქაშანურის ქარხნის მშენებლები ერთმანეთის შეჯიბრებაში გამოწვევით არ დაკმაყოფილდნენ და ქ. ფოთის „კოლხიდმშენის“ კოლექტივთან გააჩაღეს შეჯიბრება.

მე-6 სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა 1973 წლის მესამე კვარტალის გეგმა 117 პროცენტით შეასრულეს, რისთვისაც პრემიის სახით 800 მანეთი მიიღეს. მათ კიდევ ერთი გარდამავალი დროშა შეემატა „კოლხიდმშენთან“ გამარჯვებისათვის.

მიმდინარე წელი ფაიფურის ქარხნის მშენებლებისათვის ყველაზე დაძაბული წელია. ეს გიგანტი ქარხანა 15 ჰექტარზე უნდა გადაიჭიმოს და 1975 წლის ბოლოს უნდა შევიდეს ექსპლოატაციაში, მშენებლებს კი ჩაფიქრებული აქვთ 1975 წლის მესამე კვარტალში დაამთავრონ მშენებლობა. ამიტომაც უფრთხილდებიან სამუშაო დროის ყოველ საათს, ყოველ წუთს, ეკონომიურად ხარჯავენ სახალხო დოვლათს.

ქარხნის მშენებლობისათვის ჩვიდმეტი მილიონი მანეთია გამოყოფილი, აქედან სამი მილიონი მანეთი საცხოვრებელი ბინების, დამხმარე სათავსოების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის დაიხარჯება. ქარხნის საამქროებში იქნება კონდიცირებული ჰაერი, ვენტილაცია.

ქარხანა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის ოცდათხუთმეტი დასახელების ნაწარმს გამოუშვებს, ნაწარმი ქართული ორნამენტებით იქნება დამშვენებული. იმისათვის, რომ ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანური ქარხნის მიერ გამოშვებული ნაწარმი ლამაზი და მიმზიდველი იყოს, მხატვრებმა დიდი ხანია დაიწყეს ორნამენტებისა და მარკების შერჩევა.

ზუგდიდში კარგა ხანია დაიწყო ზრუნვა ქარხნისათვის კადრების მოსამზადებლად. პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ორი ჯგუფია გახსნილი, სადაც ოცდაათი ახალგაზრდა ეუფლება სპეციალობას, სამოცდაათი ჭაბუკი პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს ფაიფურის დამზადებას. მათი დაოსტატება მინდობილი აქვს კრასნოდარელ კერამიკოსს გენადი გორდოვსკის. იგი აღტაცებულია ახალგაზრდების ნიჭითა და მონდომებით. მაგალითად, კომკავშირელ ზურაბ კაკულიას გენადი თავის მარჯვენა ხელს ეძახის. ზურაბმა არცთუ ისე დიდი ხანია, რაც სწავლა დაიწყო და უკვე ოსტატის წოდება მიიღო.

კრასნოდარის ფაიფურის ქარხანაში გაემგზავრნენ სპეციალობის მისაღებად კომკავშირელები: ალექსანდრე ხუბუა, მურმან ხუბუა, ნუგზარ შედანია და ნიკოლოზ გლუშენკო.

ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანაში 1.700-1.800 კაცი იმუშავებს, აქედან სამოცდაათი პროცენტი ქალი იქნება. ფაიფურის ნაწარმი იმდენად სათუთია, რომ მის დასამზადებლად უცილოდ ქალის ნაზი ხელებია საჭირო...

* * *

გუგუნებენ ბულდოზერები, სკრეპერები. ცამდე აწვდილა რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რკინის კასკადები. ერთმანეთს მისდევენ თვითმცლელი მანქანები...

ოლია დადიანი

კირა კვეიძე

## დედის ფიქრები

შენ ერთადერთო,
შენ ღმერთთა ღმერთო,
შენ ჩემო თვალო,
მზეო და ყოფნავ,
ჩემი სიცოცხლე არ ეყოფა
აწი ჩემს მიზანს...
შენ უნდა შეძლო
სიკეთის ზიდვა, სიმართლის ზიდვა
და ვარსკვლავების მოწყვეტა ციდან...
ჰოდა, შენ იცი კარგს რასაც იზამ!
მე რაც ვერ შევძელ
მე რაც ვერ ვპოვე,
შენ უნდა შესძლო:
განდევნა ფუჭი თვითდაჯერების,
შესძლო შეწება ცათამბჯენების,
წლეულს თუ მერმისს
შენ უნდა შეწვდე ყველა სიმაღლეს!
არ მიიჩნიო ცოდვა-არცოდვად,
და არსად შერცხვე,
შენ იცი და შენმა კაცობამ!
და თუ ჭრილობას დაუამებ
იმ დაჭრილ არწივს,
წყალს მისცემ მწყურვალს,
სინდის-ნამუსად მიითვლი ულვაშს,
გექნება ყადრი ამ მიწის,
ამ ცის,
და თუ უფლებას მოიპოვებ გიწოდონ კაცი,—
ო, მაშინ დედა — სანაცვლოდ შენდა,
და ძუძუ ჩემი — შარბათად შენ,
გონება ჩემი — სხივად და მზედ,
და გული ჩემი — ხალიჩად შენ, —
ამაღლდი ზედ!

## სამტრედე

მახე და გალია მტრედისთვის აუგია,
მტრედისთვის კაკანათი ვის დაუგია?!
ბავშვებს უბრალოდ სამტრედე აუგიათ,
გალაულებავთ მერე ზეცისფრად...
წუხელის მე ის სამტრედე მესიზმრა...
შიგ არც ჭორებია,
არც შენ-ჩემობია,
ჩუმად ცხოვრობენ და ჩუმად ბერდებიან,
ხან რა ღუღუნია,
ხან რა სიჩუმეა,
რა ბევრი არიან და
მაინც ეტევიან!
შიგ არც სამოთხეა
და არც ედემია,
არავინ კინკლაობს შიგ თავის დღეში,
ყველა მართალია მეზობლის წინაშე
ბავშვების აგებულ უბრალო სამტრედეში,
ზეცისფრად შეღებილ საერთო ბინაში...

და ხომ არ სჯობია,
მტრედების თანხლებით
ვიცხოვროთ ბავშვების აგებულ სახლებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

# ფერადი სიზმრები

## დაბადების დღე

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

ბიჭს გოგიტა ერქვა. იმ დღეს, როცა იგი თერთმეტი წლისა გახდა, ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძა. წამოდგომას არ ჩქარობდა.

იწვა თავის ვეება, ზამბარებიან საწოლში და სარმკლის წყრთილიდან დაშვებულ სხივის ნაკადს გაჰყურებდა. ამ ნაკადში პაწაწა, ვერცხლისფერი ნაწილაკები ერთმანეთში ირეოდნენ, ციმციმით მიეშურებოდნენ იატაკისაკენ და სწრაფად ქრებოდნენ. ბიჭს ეზარებოდა ლოგინიდან წამოდგომა. ლოგინი მისი მეორე სამყარო იყო — ყოვლისშემძლე, ჯადოსნური. განსაკუთრებით წვიმიანი დღე უყვარდა. ჩათბუნდებოდა საბანში, გაიტრუნებოდა და... უნდა მეავტომატეთა რაზმის მეთაურად გადაიქცეოდა, უნდა საზღვაო დესანტის უფროსად, უნდა ბნელ ღამეში, უჩუმრად დააცხრებოდა მტრის განლაგებას და ხელყუმბარების ზუსტი ტყორცნით ამობუგავდა ყველას... ხანდახან იგი ცეცხლოვან მერანზეც იჯდა. ჯავარდნის მოლაპლაპე ხმალი ეჭირა და ცხენოსანი არმია მიჰყავდა ტრამალებისაკენ. იქ მას დიდი, სისხლისმღვრელი ბრძოლები უნდა გადაეხადა და, ცხადია, გაემარჯვნა. ზოგჯერ იგი დაიჭრებოდა (რას იზამ, ომში ასეთიც ხდება), იწვა ასე დაჭრილი, მტრით გარშემორტყმულ ტაფობზე, წამოდგომა არ შეეძლო, და სწორედ ამ დროს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთს გამოეცხადებოდა თეთრი ფერია. ჭრილობას მობანდა, სათუთად შეუხვევდა, შუბლზე ეამბორებოდა, ზურგზე მოიკიდებდა და ვეებერთელა თოვლში ხოხვით, წვალებით გამოიყვანდა მტრის გარემოცვიდან.

ხანდახან, ომსა და სანგრებში წოლისაგან თავგაბეზრებულს, უფრო მშვიდობიანი სურვილი ეუფლებოდა. ამ დროს იგი ჭრიჭინად გადაიქცეოდა — პაწაწა, ლამაზ, სხივილა ჭრიჭინად. რატომ მაინცდამაინც ჭრიჭინად? ახლავე მოგახსენებთ. იმიტომ, რომ მას ძალიან უნდოდა ეცხოვრა იმ სახლის კედლის ძირას, რომელსაც დიდი, ეკლესიის თაღივით განიერი სარკმელი ჰქონდა. რატომ მაინცდამაინც იმ კედლის ძირას? — მკითხავთ თქვენ. ამასაც მოგახსენებთ. იმიტომ, რომ იმ კედლის იქით ცხოვრობდა სწორედ ის სასწაულმოქმედი ფერია, ბიჭს ბრძოლის ველზე რომ შველოდა ხოლმე. ფერიას ლალი ერქვა.

ლალის სახლს, როგორც ყველა სახლს, კარიც ჰქონდა. ამ კარით სახლში შესვლაც შეიძლებოდა და გამოსვლაც. მაგრამ ჭრიჭინობელას სულაც არ აინტერესებდა ეს კარი. უფრო სწორად, იგი ფიქრობდა, რომ სახლს მხოლოდ ვეებერთელა, ყრუ კედელიღა ჰქონდა. სუროთი დაფარული და კუშტი. იგი რომელიღაც სამყაროს აშორებდა გოგიტას, უკაცრავად — ჭრიჭინობელას. აქ, სადაც დილაობით ჭრიჭინას მზე მოათბობდა ხოლმე, ცხოვრობდნენ ჭიანჭველები, ხარაბუზები, კუტკალიები, პეპლები, ფუტკრები და წარმოიდგინეთ, ჩიტებიც. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და მათი ჭიკჭიკი ზრდიდა ბალახს, ყვავილებს, ხეებს. ხოლო იქ, კედლის მიღმა ცხოვრობდა მხოლოდ ერთი არსება — ცისფერთვალა და ქერათმიანი ლალი, რომლის კიკინებზე დაბნეული ბაფთები თეთრ პეპლებს გვანდნენ.

„აჰ, ნეტა ასეთი კიკინები მქონოდა!“ — ნატრობდა პატარა ჭრიჭინობელა. მაგრამ უფრო ხშირად იგი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, ფიქრობდა კიკინებიან და ცისფერთვალა გოგონაზე, რომელიც არასოდეს არ ჩამოდიოდა მასთან, ამწვანებულ, გაფოთლილ, მოშრიალე, სურნელოვან ბაღში, სადაც კედლის გასწვრივ ცხოვრობდა თვითონ — ჭრიჭინობელა, ცხოვრობდა და სხივილით იკლებდა არემარეს. და იცით, რატომ ფიქრობდა ასე? იმიტომ, რომ კედლის იქით ცხოვრება, მისი აზრით, ძალზე ულიმღამო და მოსაწყენი იყო. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობოდა მძაფრად, როცა გოგონა სარკმელში გამოჩნდებოდა, სახეს ხელებში ჩარგავდა და სადღაც შორს, აშმუშნებულ და აშარიშურებულ ბაღის იქით იცქირებოდა, ამ დროს მის თვალებს ვერცხლისფერ მტვერში ამოგანგლულ ორ დიდ კორკიმელს შეადარებდი. შემოდგომის პირს ასეთი კორკიმელი ბორიოს დაქროლვისას ხმაურითა და ზუპზუპით ცვივა მიწაზე და ამის შეხედვა გულს ამოგიბრუნებს, ერთიანად მოგშლის.

და აი, ერთხელ ჭრიჭინამ გადაწყვიტა, რომ გოგონასათვის აეშენებინა ხიდი, ანუ პატარა ხიდუკა — მიწიდან ბარე კედელში დატანებულ ერთადერთ სარკმელამდე. სარკმელამდე კი ძალზე დიდი მანძილი იყო და ასეთი ხიდუკას გაკეთებაც არ იყო იოლი. ამას მაშინვე მიხვდა ჭრიჭინობელა, მიხვდა, რომ მიმწუხრიდან მოყოლებული განთიადამდე მოუწევდა ჭრიჭინი და სხივილი. ხოლო განთიადზე, როცა ცა ნამს გადმოაგდებდა და ერთბაშად აგრილდებოდა, მისი ნაჭიჭინი და ნასხივილი, ერთი სიტყვით, მის მიერ გამოყოფილი ყველა ბგერა, შეილიფება, გაქვავდება და სარკმლის რაფიდან მოწკრიალე ხიდუკად ჩამოეშვება მიწაზე, შეიძლება კიბეთაც. დიახ, ასე უფრო უკეთესი იქნება — კიბეთაც, იმიტომ, რომ მისი სიმღერა — ტრ-რ-რ-რა, რა-რა-რა — რაღაცათი ჩამოგავს კიბეს. და აი, როცა ეს კიბე მზად იქნებოდა, გოგონას შეეძლებოდა ბაღში ჩამოსვლა.

ასე გადასწყვიტა ჭრიჭინამ, გადასწყვიტა და თავისი განზრახული აასრულა კიდეც. მისი ტკრციალი და სხივილი ერთი წამითაც არ მინავლებულა დაღამებიდან დილაბნელამდე. ხოლო, როცა ცამ პირველი ნამი დააგორა ხეთა ფოთლებზე, კიბეც მზად იყო. მაგრამ გოგონას არ უსარგებლნია ამ კიბით. ამასობაში კი მზეც ამოვიდა, დიდი, ყვითელი, მცხუნვარე მზე და, ცხადია, კიბეც აართქლა. აბა, საიდან გაუძლებდა მზეს ეს სუსტი კიბე, როცა ასეთი მძიმე, ცეცხლოვანი სხივფეხებით შედგა ზედ?!.. ისევ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ჭრიჭინას. ერთმანეთზე ალაგებდა და ჭუჭკავდა უთვალავ პაწია, ხმოვან კრისტალებს. გოგონა ისევ არ გამოჩენილა. მაგრამ ერთხელ — აჰ, რა მშვენიერი, რა ნათელი დილა იყო! — ბიჭმა, უკაცრავად, ჭრიჭინამ, თვალი მოჰკრა მას. გოგონა ყვავილების კვლებს შორის დარონინებდა და ალბათ, თავისთვის ღიღინებდა კიდეც. ჭრიჭინამ ბალახი ზეააგდო, თავი შეუშვირა და უცნაურად შეიტკრციალა. — ასე გამოხატა მან სიხარული. მას უნდოდა ყოველ დილით სწვეოდა ასეთი სიხარული. სწორედ ამიტომ აშენებდა იგი პაწია ბწკალებს. ამაოდ არ დამშვრალა თურმე.

მაგრამ აი, ღამე დაგრძელდა და ყინვები დაიჭირა. ერთ-ერთ ასეთ ღამეს ჭრიჭინამ დაიძინა და აღარ გამოიღვიძა. და იცით, რატომ არ გაიღვიძა? იმიტომ, რომ მზეს ამოსვლა დაავიწყდა — დადგა ქარიანი, თოვლიანი, სუსხიანი, ნისლიანი ზამთარი.

მაგრამ ზამთრის შემდეგ გაზაფხული დგება მუდამ. და გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჭრიჭინამაც გაახილა თვალი, გაახილა და მაშინვე საოცნებო კიბეს, ანუ ბწკალუკას შენება და გოგონას ლოდინი დაიწყო. იგი ძალზე კეთილი და ძალზე შრომისმოყვარე გახლდათ. მას სულაც არ ადარდებდა საიდან ჩამოდიოდა გოგონა ბაღში — მისი აშენებული ჯადოსნური კიბით, თუ ჩვეულებრივი, ყავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრად შეღებილი, მოჟამული კარით. ერთი ცხადი იყო, თვითონ მას ამ ჯადოსნური კიბის გარდა სხვა არაფრის გაკეთება შეეძლო გოგონასათვის.

თვით გოგონამ კი არ იცოდა, რომ პატარა ჭრიჭინობელა მისთვის ასეთ ჯადოსნურ, სხვათათვის უხილავ კიბეებს აშენებდა და, რომ მისი ნაღვლიანი თვალები ვერცხლისფერ მტვერში ამოვლებულ კორკიმელს გვანდნენ. მან არც ის იცოდა, რომ მის კიკინებზე დაბნეული ბაფთები სამყურას წკირზე ჩამომჯდარ პეპლებივით შლიდნენ ფრთებს.

რა თქმა უნდა, მას შესანიშნავად შეეძლო დაეძახნა გოგონასათვის და ყველაფერი ეამბნა.ბოლოს და ბოლოს, იგი განა მართლა ჭრიჭინა იყო? „მაგრამ თუ ლალი ამას გაიგებს, — ფიქრობდა ბიჭი, — მაშინ ველარასოდეს გადავიქცევი ჭრიჭინად. ანდა, სულ ჭრიჭინად დავრჩები". ხოლო რად ფიქრობდა ასე, ამ ქვეყნად მარტო მან იცოდა ეს.

მერე, როცა გოგოს მამაც წავიდა ფრონტზე, გოგიტას ახალი გატაცება გაუჩნდა — ახლა ფუმფულა, ქოჩრიან და დეზებიან მტრედად გადაიქცეოდა ხოლმე. ასეთი მტრედი ოდესღაც მათ ეზოში ჰყავდა ძია ბარნაბას და ვიღაცამ მოიპარა. მერე ეს მტრედი ფრთადათხრილი, ფეხმოტეხილი (შურდული მოერტყათ) სახურავ-სახურავ მოფრინდა უკან და ბარნაბას გალიასთან დალია სული. აი, ამ მტრედის მსგავსად, ფრთების თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით მიეშურებოდა იგი ცის ტატნობისაკენ, მერცხლებსა და ტოროლებს უკან იტოვებდა და დედამიწიდან სულ პაწაწა, თეთრ წერტილად ჩანდა. მერე ეს წერტილიც ქრებოდა და მიწაზე დაბრუნების დროც დგებოდა. აქედან, ცის ყველაზე უმაღლესი გადასახედიდან კარგად ჩანდა ზღვის სანაპიროზე გაშენებული პატარა ქალაქი, კრამიტით გადახურული ყავისფერი სახლები და ბაღების უსწორმასწორო კვადრატები. მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. მთავარი ის იყო, რომ გოგიტა — მტრედი დილაობით გოგოს სარკმლის რაფაზე შესკუპდებოდა და ნისკარტით გაკრავდა მინას. გოგონა კი, გაიგონებდა თუ არა ამ კაკუნს, მაშინვე სარკმელთან გაჩნდებოდა. მტრედს რომ დაინახავდა, ერთიანად გაუნათდებოდა და გაუბრწყინდებოდა სახე. „მტრედმა მამის ამბავი მოიტანა!", — იძახდა იგი და სიხარულისაგან ძლივს ითქვამდა სულს. გოგიტამ იცოდა ეს, იცოდა, რომ გოგონა აგერ უკვე მერამდენე თვეა ამაოდ ელოდა მამის წერილს და ხშირ-ხშირად გარდაიქმნებოდა ხოლმე მტრედად. ამას სულ უბრალოდ ახერხებდა: დაჯდებოდა რომელიმე ხის ძირას, დახუჭავდა თვალებს და გადაწყვეტდა: მტრედი ვარო. თერთმეტი წლის ადამიანისათვის ეს ძალზე ადვილია. გოგიტაც სწორედ თერთმეტი წლისა გახლდათ. და ეს შესანიშნავად გამოსდიოდა. ეგონა, რომ მხოლოდ მას შეეძლო ასეთი რამ და, რომ მისი უდიდესი საიდუმლო იყო ეს. საიდუმლოს კი, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, გულითადი მეგობრის გარდა ვერავის ანდობ.

გოგიტას ჯერჯერობით არ ჰყავდა ასეთი მეგობარი.

იმ დღეს, როცა მან ადრე გაიღვიძა, ქარი ქროდა და ხეთა წვეროკინებს ხრიდა ეზოს ბოლოში. ბიჭს წამოდგომა ეზარებოდა, რადგან მისი დაბადების დღე იყო და ეგონა, რაც უფრო დიდხანს ვიქნები თვალდახუჭული და რაიმეს ჩავითქვამ, უსათუოდ ამიხდებაო.

იმ დილით კი ბიჭი მხოლოდ ახალგამომცხვარ, სურნელოვან პურზე ოცნებობდა. იდგა ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წელი.

ოთახი მზის ნაკადით იყო დაცხავებული. ასევე იყო გარეთაც — დგებოდა დიდებული, მცხუნვარე დილა. როცა დედამ გაიღვიძა, ბიჭმა უთხრა:

— მამა დამესიზმრა. მამამ უზარმაზარი თეთრი პური მოიტანა თითქოს.

დედას არაფერი უთქვამს. ამოიოხრა მხოლოდ. და ბალიშის ქვეშ რაღაც შეხვეული შემოუდო. დღეს ხომ გოგიტას დაბადების დღე იყო! მართლაც! ბიჭმა ხელი შეჰყო ბალიშის ქვეშ და შეხვეული მოსინჯა. შაქარი! შაქარი და ერთი ნაჭერი შავი პური!

ომი იყო და უკეთეს საჩუქარს ვერავინ ინატრებდა.

ბიჭი ლოღნიდა პურს, კვნეტდა შაქარს და მზის არიალებულ ნაწილაკებს უყურებდა. იგი მაინც არ გრძნობდა თავს ბედნიერად. ამის ათასი მიზეზი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე მთავარი — ომი იყო.

შუადღისას ჩამოცხა. მზე თავდაუზოგავად შრომობდა, ბორცვიანი, მოჟამული სანაპიროც გამხიარულდა მისი თბილი ჩქერალებისაგან. ხოლო ბორცვებზე მოშრიალე ხეთა კორომი ასე ჩურჩულებდა: „ამ ბიჭს დღეს თერთმეტი წელი შეუსრულდა. მიესალმეთ, მიუალერსეთ".

„რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა", — კვერს უკრავდა გამოლმა კორომი.

გზაზე ბიჭს კატამ გადაურბინა. ბიჭმა ყურადღებაც არ მიაქცია მას. ხოლო რომ მიექცია, უსათუოდ გაიგონებდა სიმღერას, რომელიც ის-ის იყო მოიგონა ფისომ: „მიავ, მიავ, მიავ, მიავ,... გრძელკისერა და გაწრიპულ ბიჭს თერთმეტი წელი შეუსრულდა (წარმოგიდგენიათ?)... მიავ, მიავ... იგი არასოდეს არ მესვრის ქვებს, სხვა უწესო ბიჭების მსგავსად. არც კუდზე წამაფრინდება ხოლმე! ხედავთ, რა კარგია იგი? მაშ, გაუმარჯოს გოგიტას".

მზე მთელ დღეს აცხუნებდა. მთელი დღეო, ამას იმიტომ ვამბობ, იმ პატარა, ზღვისპირა ქალაქში, სადაც ჩვენი გმირი ცხოვრობს, დღე ერთია და ამინდი ათჯერ მაინც შეიცვლება. ამას მეტეოროლოგები რბილ კლიმატს ეძახიან, ხოლო შებინდებისას დაქროლილ ცივ ქარს — ნორდ-ვესტს! ნორდ-ვესტი კი, როგორც მოგეხსენებათ, ინგლისური სიტყვაა და უპირატესად მეზღვაურები ხმარობენ.

ჰოდა, როცა ნორდ-ვესტმა დაუბერა, მზე ჰორიზონტისაკენ გადაიხარა.

„გვცივა", — აიშმუშნენ კვიპაროსები. მზე უფრო და უფრო ეშვებოდა ზღვისაკენ და ბოლოს ტალღებში გაუჩინარდა.

მერე დედა სამსახურიდან მოვიდა. დაიბანა ხელი, ნავთქურაზე ჩაიდანი შედგა და დელფინის ქონის ჭრაქი აანთო. კედლებზე უცნაურმა, უშნო ჩრდილებმა გადაირბინეს. ბიჭი მიხვდა, ის, რასაც იგი ასე მოუთმენლად ელოდა, არასოდეს ახდებოდა.

ამას რომ მიხვდა,ატირდა, ატირდა მწარედ. მას დიდხანს ამშვიდებდნენ. ამაოდ.

ბიჭი ომის დაწყების მეორე თვეზე გმირულად დაღუპულ მამაზე ფიქრობდა.

## მამა

დილით თუნუქის სახურავზე წვიმის მსხვილი წვეთები აწკაპუნდნენ.

— წვიმა გვაკლდა სწორედ, — თქვა დედამ — საშინელი წვიმაა. ასე მგონია, სახურავს გახვრეტს!

— ეს ქონდრის კაცუნები ხტუნავენ! — თქვა გოგიტამ. — ისინი უხილავი თოკით ჩამოეშვნენ ციდან და ცეკვავენ.

— რა აცეკვებთ? — ხელსაქმისათვის თავი არ მიუნებებია, ისე იკითხა დედამ. იგი მიჩვეული იყო ბიჭის უცნაურობას.

— აბა, რას გაიგებ, — თვალები აახამხამა ბიჭმა, — უხარიათ და ცეკვავენ.

მერე იგი ოთახის ყრუ კუთხეში იჯდა, ჩუმად იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა. რვეულის მაგივრობას ძველი წიგნი უწევდა. ეს წიგნი კარგ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი და სტრიქონებს შორის თავისუფლად შეიძლებოდა წერა. ბიჭი წერდა: „დადგა შემოდგომა. ხეებს ფოთლები გასცვივდა". მაგრამ გარეთ ჯერ ისევ ხელუხლებლად იდგნენ ხეები. ფოთლები ძალზე გვიან დაიწყებდნენ ცვენას. ნეკერჩხლები ერთიანად გაყვითლდებოდნენ, ჩაიკრუნჩხებოდნენ და ჰაიდა, ეზო-ეზო, ქუჩა-ქუჩა მოჰყვებოდნენ რიალს.

მერე მათ აშარი ქარი ერთად მოუყრიდა თავს, რომელიმე ღობესთან შეაქუჩებდა და გაზაფხულამდე სტოვებდა. გაზაფხულზე კი მათგან აღარაფერი რჩებოდა, რადგან ფენა-ფენად შექუჩული ფოთლები სიმხურვალეს გამოჰყოფდნენ და ერთმანეთს წვავდნენ.

ოთახში სიცივე სუფევდა. შესაძლოა ეს მიმქრალი ნავთქურის ბრალი იყო, შესაძლოა, — მოჟამული დღისაც. ერთი სიტყვით, სახურავზე მოცეკვავე კაცუნები რომ არა, ყველაფერი მოწყენილობის მორევში ჩაინთქმებოდა. მოცეკვავე ქონდრის კაცუნები კი თითქოს აფხიზლებდნენ გარემოს.

უცებ დედამ მწარედ ამოიოხრა, ხელები გულზე დაიკრიფა და მამა ახსენა.

— ეჰ, ასე ვიქნებოდით განა?

ასე იყო თითქმის ყოველ დღე. არ შეიძლებოდა, რომ დედას რაიმე არ მოეყოლა მამაზე. ზოგჯერ იგი ბიჭს სასთუმალთან ჩამოუჯდებოდა, თბილ, მუშაობისაგან გაუხეშებულ ხელისგულს შუბლზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუსვამდა და გაშტერდებოდა. ბიჭს ეჩვენებოდა, რომ იგი უფრო თავისთვის ყვებოდა. ეს იმიტომ, რომ მეუღლის სახე თანდათან იცრიცებოდა, თანდათან ქრებოდა და იშლებოდა მისი მეხსიერებიდან. ამ მოგონებებით კი იგი მის აღდგენას, დაბრუნებას ცდილობდა.

ჰოდა, ჰყვებოდა დედა:

— მაშინ შენ პატარა იყავი, ერთი ცუცუნა. მაგრამ საოცრად მძიმე (დედა იცინის), ბევრს სჭამდი და იმიტომ. მამა კი სულ ხელით გატარებდა. და კიდევ — ზოგჯერ ისე მაღლა აგაგდებდა — ჰოპ! ჰოპ! — გული შიშისაგან გამეპარებოდა. ის კი ისევ დაგიჭერდა თავისი ვეება, ძლიერი ხელებით. „ბავშვი არ დაღუპო“, — ვუყვიროდი მე. ის კი იცინოდა, კბილების სითეთრით მოგხიბლავდა (არ ჰქონდა თავი მოსაწონად თუ?). „ნუ გეშინია, გენაცვალე, — მეტყოდა, — არ გამივარდება...“ მე კი, საწყალს, სულ მეგონა, აი, ახლა, აი, ახლა, აუცილდება-მეთქი ხელი...

— დედა, ნუ სტირი... — ეტყოდა ბიჭი.

— არ ვტირი, ჩემო სიყვარულო, არ ვტირი, ჩემო იმედო... უბრალოდ, ეტყობა თვალში რაღაც ჩამივარდა და იმის ბრალია. შენ კი, მოგეჩვენა, რომ ვტირი... ჰოდა, აი,. მისმინე: ჩვენ — სამნი — მე, შენ და მამაშენი ხშირად დავდიოდით სასეირნოდ, აქვე, სანაპიროზე. ეს უკვე, როცა ცოტა წამოიზარდე. მაგრამ ძალზე ზარმაცი იყავი და სულ ხელში აყვანას მთხოვდი. მამაშენი კი არ მანებებდა, — „დიდიაო“, — მეუბნებოდა. მე კი: — „პატარაა-მეთქი“, — ვუწყრებოდი. და მაინც არ მაძლევდა შენი აყვანის ნებას. „წელი გეტკინება“, — იცინოდა იგი. იცინოდა და თვალისდახამხამებაში შეგისვამდა მხრებზე. შემხვედრნი თვალს ვერ აცილებდნენ — ისეთი ლამაზი, ახოვანი, მხიარული იყო. მე მხრებამდე ძლივს ვწვდებოდი. უცნობები ამბობდნენ:ხედავთ, რა ახალგაზრდაა და უკვე მოსწრებული შვილები ჰყავს. რას იზამ. თითონაც ასე მეძახდა — პატარა დედიკოო. ეს იმიტომ, რომ მასთან შედარებით მართლაც საოცრად პატარა ვიყავი...

დედა ჩუმად, ძალზე ჩუმად ყვებოდა მუდამ. სულს დაითქვამდა. თვალთა უპეებში მომდგარ ცრემლებს ხილაბანდის ბოლოთი ამოიმშრალებდა და ოთახიდან გადიოდა. ბიჭს ეჩვენებოდა — იქ, მეორე, პატარა ოთახში იგი სტიროდა.

ბიჭმა თვალები დახუჭა.

რა დაინახა მან იქ, თავის სამყაროში? ამწვანებული ბაღები, თეთრად და ცისფრად შეღებილი სახლები... ეს იყო მისი ბავშვობის ქალაქი, პატარა, სუფთა და ჯადოსნური. ბიჭი მამასთან ერთად მიაბიჯებს ამ ქალაქში.

ჰაუ, რამდენი ნაცნობი ჰყავს მამას!

ბიჭი კმაყოფილი იღიმება, რადგან შორიდან მათკენ გამოქცეულ დედას ხედავს. დედას დაწინწკლული, წითელი კაბა აცვია. და ძალზე უხდება.

მერე ისინი ასე საზეიმოდ მორთულნი სხედან სუფრასთან.

დედა სულ იღიმება და სიტყვის თქმას ვერ ახერხებს. მამა კი იღებს წითელი ღვინით სავსე კათხას და გოგიტასაც ანიშნებს, შენც აიღეო.

— შენ უკვე დიდ ხარ, — ამბობს მამა, — მოდი, შვილო, გავსინჯოთ ჩვენი ჭირნახული.

— კარგი, მამა! — თავს უქნევს ბიჭი.

და აი, ისინი აუჩქარებლად სვამენ და ასევე აუჩქარებლად მიირთმევენ კეცზე შემწვარ წიწილას, ცხელ მჭადსა და სულგუნს.

— რატომ არ სჭამ მწვანილს? — ამბობს მამა, — მწვანილი სასარგებლოა.

— ვიცი, — ამბობს გოგიტა (ნუთუ ეს მისი ხმაა, ასეთი ბოხი და ძლიერი?) და პრასისაკენ მიაქვს ხელი.

— როგორ მირჩევ, შვილო, — იწყებს მამა რბილი, ხავერდოვანი ხმით, — წელს ისევ დავაყენოთ ღვინო, თუ?..

— ცხადია, დავაყენოთ, — ამბობს ბიჭი.

მამა კვერს უკრავს.

— სახლის სახურავი სულ ჩალპა. ახალი თუნუქია საშოვნელი. რას იტყვი, მივხედოთ სახურავს?

— რა თქმა უნდა, — წიწილს ფრთას ატეხს ბიჭი და იღიმება.

— კიდევ ერთი საკითხი და საუბარი დავამთავროთ, — ეშმაკურად ბრწყინავს მამის თვალები, — მაგრამ თუ თავი მოგაბეზრე, აღარ ვიტყვი.

— არა, რატომ... მე გისმენ... — დიდსულოვნად გადახედა მამას გოგიტამ და სმენა დაძაბა.

— ის გოგო, რომლისთვისაც შენ ჰაეროვან კიბეს აშენებდი...

— ლალი?

— ჰო, ლალი, — გაეხარდა მამას, — მოგწონს?...

ბიჭმა დაიმორცხვა.

— ეგ შენი საქმეა. მაგრამ ჩემი აზრიც იცოდე: ლალი ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი გოგოა.

ბიჭი თვალს ახელს. ისევ წვიმს, წვიმს — ძლიერად, კოკისპირულად. ვაითუ, ზღვა ადიდდეს? ფიქრობს იგი. მაგრამ ზღვა არ ადიდებულა. ეს იყო მხოლოდ, დილით, როცა ნავთის რიგში ჩასადგომად მიდიოდა, დაინახა უზარმაზარი, ყალყზე შემდგარი ტალღები, ღმუილით რომ ასკდებოდნენ ნაპირს.

ბიჭმა თუნუქის ბიდონს დიდი ასოებით დააწერა „გოგიტა“ და სხვა, უთვალავ ბიდონებს ამოუყენა. ნავთი თუ მოიტანეს, მეორე დილისთვის მაინც მოუწევდა. ნავთი კი აუცილებელი იყო ოჯახისათვის — წვიმების დრო იდგა და საჭმელს ვეღარ ამზადებდნენ გარეთ, ცეცხლზე...

ბიჭს ზღვა ეძახდა.

იქ, ზღვის ნაპირას ერთი ადგილი ჰქონდა აჩენილი. დადგებოდა მაღლობზე, სახეს ტალღების შხეფებს მიუშვერდა და გაყუჩებული უსმენდა ზღვის ბობოქარ სუნთქვას...

ასე იცოდა მამამისმაც.

ოღონდ, როცა მამა ზღვას გაჰყურებდა, სახეზე რაღაცნაირი შუქი დაადგებოდა.

გვიან მიხვდა ბიჭი, რად უნათდებოდა მამას სახე, როცა ზღვას გაჰყურებდა:

ოცნებისაგან!

ეს რომ აღმოაჩინა, ბიჭს უფრო მეტად შეუყვარდა მამა.

## დამარცხება

შინ ისევ არ ენთო ნავთქურა. გარეთ კი თავგაბეზრებით წვიმდა და მოწყენილობას ამკვიდრებდა. ჭერზე ჯერ ნაცრისფერი ლაქა გაჩნდა (წვიმამ გამოჟონა), მერე ჩამუქდა და იქედან წკრიალით დაეშვა ვერცხლისფერი ძეწკვი. ამ ძეწკვს ბიჭის აზრით მოცეკვავე კაცუნები უნდა ჩამოჰყოლოდნენ. მაგრამ კაცუნები არ ჩანდნენ. იატაკი სულ უფრო და უფრო ივსებოდა წყლით.

„მაინც სად იკარგება დედაჩემი? — გაიფიქრა ბიჭმა და ჭერიდან ჩამოშვებულ ძეწკვს ტაშტი შეაშველა.

ქუჩის კუთხეში სატვირთო მანქანა შეჩერდა. ამას ბიჭი მუხრუჭების ღრჭიალით მიხვდა. გაიხმაურა სათავსოს კარმა და კიბეზე ამომავალი ადამიანის ნაბიჯების ხმაც გაისმა

დედა!

დედა საოცრად მოწყენილი, დაღლილი, მოტეხილი გამოიყურებოდა.

აჰ, ეს როგორ დაავიწყდა ბიჭს, დღეს ხომ დედა გვიან უნდა მოსულიყო სამსახურიდან!

დედა მძიმედ დაჯდა სკამზე. ხელში კარგა დიდი შეკვრა ეჭირა,

— დაიღალე? — ჰკითხა ბიჭმა.

დედამ უხალისოდ დაუქნია თავი. ბიჭს გაახსენდა: მამა ტაბურეტზე, ან სკამზე დამჯდარ დედას დაინახავდა თუ არა, მოულოდნელად აიტაცებდა და ასე ატატებულს დაატარებდა ოთახიდან ოთახში. „სანდრო, ბავშვი! ბავშვი!“ ყვიროდა დედა და თავის განთავისუფლებას ლამობდა. პირიქით ხდებოდა — უფრო ეკვროდა მამის ვეება მკერდს.

— დავიღალე, — თქვა დედამ ხმამაღლა და ბიჭი ფიქრიდან გამოერკვა, დაინახა — მაგიდაზე პური იდო. ოთახში ერთბაშად ჩამოთბა. ოთახში მზემ შეიჭყიტა. დაბრუნდა ზაფხული. შეწყდა წვიმა და ქვეყანაზე ქარის ნასახიც არ ჭაჭანებდა. ასე მოეჩვენა ბიჭს, როცა პური აიღო ხელში. პური თბილი იყო. თითქოს სუნთქავდა — სასიამო სურნელი ასდიოდა. ბიჭი ხარბად სრუტავდა ამ სურნელს. ამოდენა პური მას კარგახანია აღარ ენახა! ფრთხილად, ძალზე ფრთხილად ასწია ზევით, დაყნოსა, მოეხვია.

პურის ნაჭერი დნებოდა სასასა და კბილებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გემრიელია? — იკითხა დედამ.

— აბაა?! — თვალები გაუბრწყინდა გოგიტას. იგი ამ პურით ცხოვრობდა. ეს პური იყო მისი მამოძრავებელი ძალა.

„მუდამ ჩვენთან იყავი, პურო! — ფიქრობდა ბიჭი. — შენ არ იცი, რა კარგი ხარ, რა ძლიერი. არასოდეს არ მიგვატოვო, პურო! გესმის? შენ ჩვენთან უნდა იყო მუდამ, ჩვენთან, ჩვენს მაგიდაზე, გამოსარჩევ, გამოსაჩენ ადგილას დაბრძანებული. ყოველთვის ჩვენთან იყავი, ყოველთვის, პურო!“

ახლა ჩვენ დაგვავიწყდა პურის გემო, იმ ადრეულ წელთა პურის გემო! ჩვენ ბევრი რამ დაგვავიწყდა. ჩვენ ვყრით პურის ნაჭრებს. ვყრით იმ პურს, რომელმაც მაშინ გადაგვარჩინა, რომელიც სიცოცხლესთან იყო გატოლებული.

პურო, გვაპატიე. გესმის, პურო?

შენ ისევ სჭირდები ხალხს.

მუდამ ჩვენთან იყავი.

ნურასოდეს ნუ მიგვატოვებ!

...თითქმის განახევრებული პური დედამ პირსახოცში გაახვია და ასე დასტოვა მაგიდაზე.

გოგიტას თვალები ებლიტებოდა, ებლიტებოდა სითბოსა და ბედნიერებისაგან. ასე ეგონა — თითქოს მისი სულის უხილავი სათავსებიდან პატარა მზე ამობრწყინებულიყო.

დაძინების წინ მან ერთხელ კიდევ გახედა მაგიდას — სიბნელეში თეთრად ჰვიოდა პირსახოცში სათუთად გახვეული პური. თბილმა ტალღამ გოგიტა ფაფარზე მოიქცია და თან წარიტაცა. წამიც და ჩაეძინებოდა.

მაგრამ ბიჭმა მოახერხა თავი დაეღწია ძილ-ღვიძილის ბურანისაგან.

აბა, რა საინტერესოა ძილი, როცა თერთმეტი წლისა ხარ და ქვეყანაზე ჯერჯერობით არაფერი გინახია?

ჰოდა, გოგიტა შორეული გზით იჩქარის იქითკენ, სადაც ყველაზე დიდი ფრონტია, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარია გავლებული. ვინ აინტერესებს ამჯერად მას? ახლავე გაიგებთ. როცა თეთრმა, ლამაზმა ღრუბელმა იგი ცეცხმოდებულ ტყესთან მიიყვანა (აქ ბიჭის აზრით ომი იყო), გოგიტამ თავისი ჯადოსნური სიტყვა წარმოსთქვა (რა სიტყვა იყო ეს, მხოლოდ მან იცოდა!) და ღრუბელი ნელა დაეშვა პატარა მდელოზე. ირგვლივ ტყე იყო და ტყე გუგუნებდა. გოგიტამ მიმოიხედა და სანგრები დაინახა, შავი, გრძელი სანგრები. უცებ მიწიდან მაღალი, მხარბეჭიანი გოლიათი ამოიზარდა. ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, ხელში შაშხანა ეჭირა. „ეს შენა ხარ, შვილო?“ ჰკითხა გოლიათმა გოლიათური ხმით. ბიჭს გული აუფანცქალდა შიშისაგან. მაგრამ ადგილიდან არ განძრეულა. ჯარისკაცი მიუახლოვდა, ხელი დაადო მხარზე. ბიჭს გაუკვირდა, რა მჩატე და რა ნაზი ხელი ჰქონდა გოლიათს.

„მე შევცდი, — ჩემი ბიჭი მეგონე. ჩემი თმახუჭუჭა შვილი. ისიც შენოდენაა. ოღონდ არასოდეს არ მოდის აქ, და არ ვიცი, მოვა კი საერთოდ? შეიძლება მან არ იცის, სადა ვარ?“.

გოლიათმა ბიჭის მხრიდან აიღო ხელი, წარბები აპრიხა და პირი გააწკლაპუნა.

„ვისი შვილი ხარ?“

„სანდროსი“.

„ეს რომელი სანდროსი, ომის დაწყების მეორე თვეზე რომ დაიღუპა გმირულად?“

„იმისი“.

„დახე, რა ვაჟკაცი ჰყოლიხარ, უშიშარი, გამბედავი. ვიცნობდი მამაშენს. ერთად ვიბრძოდით. აი, იმ ბორცვთან დავხვდით მტერს. ისინი ტანკებით იყვნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ჩვენ კი არხეინად ვიჯექით სანგარში და ყველას ვანადგურებდით. მაგრამ აი, უცებ მამაშენი მეუბნება: „ყუმბარები გვითავდება“. ცხადია, ერთ-ერთი ჩვენთაგანი ყუმბარების მოსატანად უნდა წასულიყო. „მოდი, — მითხრა მამაშენმა, — მე როგორმე გავძლებ“. ომის დროს შეყოვნება სიკვდილს ნიშნავს, მაშინვე გავიქეცი ყუმბარებისათვის, მაგრამ როცა დავბრუნდი, საშინელი სურათი დავინახე: ხუთი ტანკი ერთდროულად უახლოვდებოდა სანგარს...

ჯერ ერთი ავარდა ჰაერში, მერე — მეორე, მერე — მესამე, მერე — მეოთხე... მეხუთესათვის კი ყუმბარა აღარ ეყო მამაშენს..“

ბიჭმა ცრემლი მოიწმინდა და ჯარისკაცურად სცა თაყვანი მამის ნათელ ხსოვნას.

— „ახლა რაღამ მოგიყვანა აქ?“ — ჰკითხა გოლიათმა.

„ერთ კაცს ვეძებ. უკვე ექვსი თვეა შინ წერილი არ გამოუგზავნია. არადა, მისი პატარა გოგო დარდით ავად გახდა და ისე ჩამოხმა, დედამისი გარეთაც აღარ უშვებს...“

„ჰოო... — ჩაფიქრდა ჯარისკაცი. — სამწუხაროდ, მე ვერაფერს დაგეხმარები. მე აქ უნდა ვიყვე. ასეთია ბრძანება. ბრძანების შეუსრულებლობა კი მე არ შემიძლია. მაპატიე, რომ ვერ გეხმარები“. გოლიათმა ამოიოხრა. ჩაიკრა ბიჭი გულში და სწრაფად გასცილდა.

ირგვლივ ტყე გუგუნებდა.

საით უნდა წავიდეს ბიჭი?

სად ეძებოს კიკინებიანი გოგონას მამა? გოგიტამ უსათუოდ უნდა იპოვოს იგი, უსათუოდ. რადგან შეიძლება გოგონა დაიღუპოს. აკი ექიმმაც ასე თქვა, დიდი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭიროო? სწორედ რომ ასე თქვა, გოგიტა კი მოვალეა, რომ გაუფრთხილდეს გოგონას. იგი ისევ იმეორებს თავის ჯადოსნურ სიტყვას და ერთ ტბასთან ჩნდება. ტბა ლაქაშებითა და ლელიანითაა დაფარული. ბოლავს ტბის გარშემო მდგარი ხეები, იწვის ბალახი...

„აქეთ, გოგიტა, აქეთ!“ — შემოესმა უცებ ჩახრინწული, მოლოდინით დაჟეჟილი ხმა. ბიჭმა მზერა დაძაბა. ტბის შუაგულში, პაწია კუნძულზე, ლაქაშებს შორის რაღაც შავი საგანი შეიძრა.

„ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, ვიცოდი“. — თქვა შავმა საგანმა და გოგიტამ ახლა ნათლად გაარჩია — ლალის მამა!

ლალის მამა დაჭრილი იყო. წამოდგომაც კი არ შეეძლო. შველა იყო საჭირო, მისი გადარჩენა. მაგრამ როგორ? „ტბაში არ შემოხვიდე, — თქვა მისუსტებული ხმით ლალის მამამ, — ტბა ჭაობიანია, ჩაგითრევს“.

და ვიდრე იგი ამას ამბობდა, გოგიტა მძლეთამძლე არწივად გადაიქცა. შემოჰკრა ფრთა ფრთას, აიწია მაღლა, გადაევლო ლაქაშებს და პაწია კუნძულზე გაჩნდა. ჩაავლო თავისი კაუჭა კლანჭები დაჭრილის ფარაჯას, ზეაიტაცა და ფრთხილად წაიყვანა იქითკენ, საითაც მტერი აღარ ეგულებოდა. მათ ქვევით კი ქვემეხები ბუხუნებდნენ. და საერთოდ, მტერი გაოგნებული უყურებდა ერთ არსებად ქცეულ გოგიტა — არწივსა და დაჭრილ ჯარისკაცს...

„მე ვიცოდი, რომ შენ მომეშველებოდი, — თქვა ჯარისკაცმა, — ცოტაც რომ დაგეგვიანებია, მტერს ჩავუვარდებოდი... შენ თურმე ჯადოქარი ყოფილხარ“.

აქ გოგიტა — არწივმა ისე მძლავრად დასჭყივლა, მის ქვევით, შორს გაწოლილი მიწა შეზანზარდა...

გოგიტამ თვალი გაახილა და გაოცდა: სასთუმალთან დედა ეჯდა.

— თაგვები! — თქვა მან. — თაგვებმა სულ შეჭამეს პური.

დედამ ასწია პირსახოცი. პირსახოცის ქვეშ არაფერი აღარ იყო — ერთი ნამცეციც კი.

„პური — გაიფიქრა ბიჭმა. — ნეტა დაწოლის წინ კიდევ შემეჭამა“. მან არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. გულის კოვზთან რაღაც მძიმედ აწვებოდა, აღრჩობდა. იგრძნო, სახლში ერთბაშად დაისადგურა სიცივემ. ეს იმიტომ, რომ დედა თრთოდა. უცებ იგი ბიჭის სათუმალზე დაემხო და ატირდა.

— აღარ, შემიძლია, აღარ შემიძლია... — ტიროდა იგი. — ღმერთო, აღარ შემიძლია...

ბიჭს პურზე მეტად იმან დასწყვიტა გული, რომ არ იცოდა, გადაარჩინა თუ არ გადაარჩინა ლალის მამა, გაიყვანა თუ არა სამშვიდობოზე. იგი დიდხანს წრიალებდა ლოგინში. იწვა და ფიქრობდა დედაზე, მამაზე, პურზე, ლალიზე, ლალის მამაზე, უცნობ ჯარისკაცზე... მას ფიქრების კორიანტელი ეხვეოდა.

„ჰეი, შემოდგომის, ომის, სიცივის, შიმშილის წვიმებო, ფიქრობდა ბიჭი, — გნებდებით, მე ვერაფერი გავაწყვე თქვენთან. მოდით, წაძილეთ, გამსრისეთ, დამამარცხეთ. თქვენ უძლიერესნი ყოფილხართ. თქვენ ძლიერები ხართ მზეზე, ზაფხულზე, პურზე, ოცნებაზე. თქვენ ყველაზე ძლიერნი ხართ ამ ქვეყნად. ძლიერნი ხართ სიყვარულზე, სიცოცხლეზე, იმედზე.

ისმინეთ, შემოდგომის, ომის, სიცივის, შიმშილის წვიმებო მე გნებდებით...“

ბიჭს მწარე, გამოუთქმელი ბოღმა აღრჩობდა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. ე. ჭიაურელი

ოთხმოცი წელი შეუსრულდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ცნობილ კინორეჟისორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, დიდ ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელს. თავისი შემოქმედებით არა ერთი სიხარული მოუტანა მან საბჭოთა მაყურებელს. მისი ფილმები: „უკანასკნელი მასკარადი", „დიადი განთიადი", „ფიცი", „ბერლინის დაცემა", „არსენა", „გიორგი სააკაძე" საბჭოთა კინემატოგრაფიის ოქროს ფონდს განეკუთვნება.

დიდი ეპოქალური ულერადობის თემები მთავარია მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებაში. ამავე დროს „ოთარაანთ ქვრივი". „რაც გინახავს ველარ ნახავ" და სხვ. მისეული ნახატი ფილმებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა ფართო მასებში.

ამიტომაა, რომ მადლიერების გრძნობით აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში მიხეილ ჭიაურელის დაბადების 80 წლისთავი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია გულითადად ულოცავს იუბილარს ამ მნიშვნელოვან თარიღს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომა—ჩვენი სახელისა და ღირსების საქმე

„1973 წელი საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეთა მატიანეში შევა როგორც დამკვრელური შრომის წელი. იგი აღინიშნა მაღალი შრომითი პათოსით. იყო კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე დიდი და ნაყოფიერი მუშაობის წელი“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.)

## ბოლნისელები

კარგი მაჩვენებლებით გაისტუმრეს მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. მათ თავდადებით იშრომეს ყველა უბანზე საგეგმო დავალებათა, ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად და რეკორდული მოსავალი მოიწიეს. ამასთან შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულების გეგმა, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მოგების გეგმა, რის გამოც პრემიის სახით მუშა-მოსამსახურეებზე გაიცემა 260 ათასი მანეთი; მშრომელთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 20 პროცენტით.

ღირსეული წვლილი შეიტანეს დიდ სახალხო საქმეში ქალებმა. ბევრი მათგანი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმეზე მოგითხრობთ. არის მათ ცხოვრებაში რაღაც საერთო, ეს ერთნაირი ბავშვობაა, ომის წლებს რომ დაემთხვა, ადრე დამთავრდა და დიდობაში გადავიდა. არის სხვაც, — შრომაში გატარებული ნახევარი სიცოცხლე...

### ახალგედებს სჭირდებათ რჩევა

— დეიდა თათუშა, რომელი ყლორტის დატოვება აჯობებს სანაყოფედ? — კითხულობენ გოგონები და თვალებში შესციცინებენ ხანდაზმულ ქალს.

— გასხვლა ვაზისთვის მთავარია, შვილებო, რომელ რქას დატოვებს სანაყოფედ, ეს მევენახის თვალზე და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. მთავარი ის არის, ნარგავს ფორმა არ დავუკარგოთ. გასხვლისათვის საუკეთესო დრო ახლაა, ამიტომაც ვეშურებით საქმეს. სანამ ღეროში წყალი ჩადგება, მანამ უნდა მოვასწროთ უნაყოფო ტოტების შემოცლა, ლაღად რომ წავიდეს სიმაღლეში და სისქეში სამამულე და სანაყოფე რქები, — პასუხობს იგი და პრაქტიკულად აჩვენებს ახალგაზრდებს, როგორ უნდა შემოეცალოს ვაზის ძირს ნამხრევები. თვალი სწრაფად პოულობს სანაყოფედ დასატოვებელ რქას. საქმეს მიჩვეული ხელები რიტმულად მოძრაობენ, სწრაფად ათავისუფლებენ ვაზს ზედმეტი ტოტებისაგან.

ახალბედებს ყოველთვის სჭირდებათ საქმეში გაჭაღარავებული ხალხის რჩევა, გამოცდილება. თათუშა კილასონია, მეურნეობის მე-8 აგროგანყოფილების მუშა, მუდამ მზად არის დახმარებისათვის, ალბათ ამიტომაც ხედავენ მას ყველაზე ხშირად ახალბედებთან.

ვეგეჭკორის რაიონის სოფელ ტალერის მკვიდრი იყო მისი მამისეული ოჯახი. თათუშამ იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ომმა მოუსწრო და სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი მომავლისთვის გადადო. მუყაითობამ იმთავითვე გამოარჩია ქალიშვილი ტოლებში, ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა, ფასი და წონა შემატა მის სიტყვას. მერე დაოჯახდა და საცხოვრებლად ბოლნისში გადმოვიდა. სამი ქალიშვილის დედამ უარი როდი თქვა საზოგადოებრივ შრომაზე. ბოლნისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მივიდა.

შრომაში გალია თ. კილასონიამ სამი ათეული წელი. ყოველ ცისმარეს ახლაც ერთ-ერთი პირველი მიაშურებს ხოლმე მინდორსა და ზვრებს. საშუალოდ 1,5-2 ნორმა მისი ყოველდღიური შრომითი მაჩვენებელია.

### ყველა წარმატების მონაწილე

საქართველოს მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა ბოლნისში რომ ჩამოასახლეს, მაშინ დასახლდნენ ბოლნისში რეხვიაშვილებიც. 14 წლის ლიდა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გახდა. ადვილი არ იყო შრომის ულელის უფროსების მხარდამხარ გაწევა. მაგრამ დახმარებამ და სითბომ, რასაც გოგონა კოლმეურნეობის თავკაცებისაგან გრძნობდა, შრომა გაუადვილა. ამიტომაც ახსენებს ლიდა ახლა ასე ტკბილად კოლმეურნეობის მაშინდელ თავმჯდომარეს გიორგი ისიანს — გულისხმიერ ხელმძღვანელსა და კარგ მეგობარს.

მერე ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა, დაოჯახდა.

კოლმეურნეობას ისევ დაუბრუნდა უკვე შვილებწამოზრდილი ქალი, ისევ დაიკავა თავისი ადგილი სამუშაოზეც და ტოლებშიც.

1961 წელს კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. აქედან მოყოლებული მეურნეობის მეორე აგროგანყოფილების წევრია ლიდა რეხვიაშვილი, მისი ყველა წარმატების მოზიარე და მონაწილე. 1973-მა წელმა ახალი შრომითი გამარჯვება მოუტანა — სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

### პატიოსანი გზა

ნუნუ მამულაშვილი ჯერ იყო და ერთხმად აირჩიეს მეურნეობის მშრომელებმა ბოლნისის რაიონული საბჭოს დეპუტატად, მერე კი, მემინდვრეობის პროდუქციის წარმოებისა და მისი სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა. ყველაფერი ალალია მისთვის. თხუთმეტი წლისამ წითელი სოფლის 8-წლიანი სკოლა დაამთავრა და თანატოლებთან ერთად კოლმეურნეობას მიაშურა. კომკავშირელი ქალიშვილი უფროსებს ამოუდგა მხარში. სოფელი ომით მიყენებულ ტკივილებს იყუჩებდა და ვაჟკაცებდაკარგულს მისი მარჯვენა სჭირდებოდა. ჰოდა, გააქტიურდნენ კომკავშირელები. მკლავი და ძალა არ დაზოგეს და ომისშემდგომი ხუთწლედის წარმატებანი თავიანთი შრომითაც გაამაგრეს.

მოწინავეთა შორის იდგა ნუნუ მამულაშვილი...

1961 წლიდან ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეხუთე აგროგანყოფილების მიღწევებში შეაქვს წვლილი.

შენ მკლავის ძალა, სამუშაოსადმი ერთგული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება აჩვენე და ამაგდაუფასებელი არ დარჩებიო, — ხშირად უთქვამს ნუნუს. აკი არც დარჩა, ხელმძღვანელებისა და მეგობრების ყურადღების ცენტრში მოექცა, ხალხის რჩეული გახდა.

სამი ვაჟის დედაა ნუნუ. საცდელი არ დააკლო და სამივე სწორ გზაზე დააყენა.

მათ ჯერ წინა აქვთ მართალი, პატიოსანი მშრომელი კაცის გზა, გზა, რომლითაც იარეს მათმა მშობლებმა დედამ — ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ და მამამ — ამავე მეურნეობის მძღოლმა.

### შრომის ფერხულში

მისი სამუშაო დღე დილის 5 საათზე იწყება. უთენია გამოჩნდება ფერმაში. ადრე მისულ კოლეგებს მიესალმება, მოიკითხავს, თბილ სიტყვას ეტყვის და საქმეს შეუდგება — საკვებს მიაწვდის საქონელს, თავისებურად შეეხმიანება. მერე წველა დაიწყება... 19 სული ძროხა აბარია, თითოეულიდან შარშან 2651 კილოგრამი რძე ჩამოწველა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგმით გათვალისწინებული 1900 კილოგრამის ნაცვლად, ხოლო მთლიანად — 41,7 ტონა 36-ის ნაცვლად.

10 საათზე მწველავები თავისუფალნი არიან. ნინო ინაძე მორიგეა და გვიანობამდე დარჩება ფერმაში, თვალყურს დაიჭერს სადგომში სისუფთავის, პირუტყვის კვების რაციონის, ფერმაში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის ზუსტად დაცვაზე. საქმეს რა გამოლევს...

13 წლის იყო, ომი რომ დაიწყო. წითელი სოფლის შვიდწლიანი სკოლის წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. მამა და ბიძები ომის გამოცხადების პირველ დღეებიდანვე წავიდნენ ფრონტზე. გაუჭირდა წვრილშვილიან ოჯახს, ნინომ იგრძნო, მისი მიშველება სჭირდებოდა პატარა და-ძმას. ბევრი თანატოლის მსგავსად წიგნი გადადო, თოხსა და ბარს მოჰკიდა ხელი. გოგონას სუსტი ხელისათვის მეტისმეტად მძიმე იყო ერთიც და მეორეც. ამას უფროსი კოლეგებიც გრძნობდნენ, ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ. მისი პირველი შრომადღეებით სული მოითქვა ოჯახმა. კრებაზეც ქებით მოიხსენიეს პატარა მშრომელი. ფრთა შეასხა ქებამ გოგონას. გარჯას გავაორკეცებო, — ხმამაღლა თქმისა მოერიდა და გულში გაივლო. შესრულა კიდეც. თხუთმეტი წლის გოგონას სიტყვას ისეთივე ფასი დაედო, როგორც მოზრდილებისას.

მალე კოლმეურნეობის ფერმაში გადაიყვანეს მწველავად. ცამეტი ძროხა და დიდი პასუხისმგებლობა ჩააბარეს. ნინოც შეუდგა საქმეს. მას ენდნენ, ნდობას ხომ გამართლება უნდოდა. თავი არ დაუზოგავს, საცდელი არ დაუკლია, გამოცდილი მწველავების — თამარ თანდარაშვილის, ანა მოსიაშვილის რჩევა-დარიგებას ყური ათხოვა და მალე პირველობა მოიპოვა. 1947 წლის 20 მაისს კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

1961 წლიდან ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმის მოწინავე მწველავებს შორის ჩადგა. მისი სამაგალითო შრომა შეუმჩნეველი, დაუფასებელი არ დარჩა. მალე მოიპოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ფრიადოსნის საპატიო სახელი. ორჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.



ნინო ინაძე



ლიანა ქობულაძე



თათუშა კილასონია



ლიდა რეხვიაშვილი



ნუნუ მამულაშვილი

## ყველაზე დიდი სურვილი

ყინვამ ისევ მოუჭირა. ბარის პირი გაქვავებულ თოვლს ხვდება და უფრო და უფრო ძნელდება ორმოს ამოჭრა. ქალს კი არა, მამაკაცებს უჭირთ მუშაობა, მაგრამ შრომაში ნაწრთობ მარჯვენასა და ნებისყოფას თავისი გააქვს. ორმოს სათანადო სიღრმეზე გაჭრის, გაყინული თითებით ვაზის სასურველ-სანაყოფე რქასაც იმორჩილებს და ფრთხილად აწვენს ორმოში, მერე ზევიდან მიწას მიაყრის და კიდევ ერთი ძირით შეამცირებს ვენახის მეჩხერიანობას.

25 ახალი ძირი შემატა ერთ დღეს მეურნეობის ვენახს მე-8 აგროგანყოფილების მუშამ ლიანა ქობულაძემ. ლიანა მამაკაცებს ტოლს არ უდებს. მისი დღიური მაჩვენებელი ორი ნორმაა საშუალოდ. შესრულებული სამუშაო ყოველთვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მარტო შარშან 251 კაცდღე გამოიმუშავა და დიდად შეუწყო ხელი როგორც განყოფილების, ასევე მეურნეობის საერთო წარმატებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გასულ წელს მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის ლიანა ქობულაძე შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. მივულოცეთ მას ეს ჯილდო და ორიოდე კითხვა მივეცით:

— რით ახსნით საკუთარ წარმატებას?

— წარმატებებს ყოველგვარ საქმიანობაში, საერთოდ, შრომისადმი სიყვარულით, კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ხსნიან, მაგრამ ყოველ სამუშაოს მაინც სჭირდება მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიდგომა. ჩვენთვის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის, ეს ალბათ, წინაპართაგან მემკვიდრეობით გამოყოლილი მიწის სიყვარულია. და ბოლოს, იგი განაპირობა მეურნეობაში ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. პირველობისათვის იბრძოდნენ უბნები, ბრიგადები. მათ მართლაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს.

— რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?

— იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მეურნეობაში ცოტა გვყავს ახალგაზრდები, გვაკლია მათი შრომითი ენთუზიაზმი, შემართება და პირდაპირობა. ჩემი ყველაზე დიდი სურვილიც აქედან მოდის (და არა მარტო ჩემი). მინდა ვხედავდე მათ ჩვენს გვერდით.

ნელი ჟუჟუნაშვილი

*წელი — განმსაზღვრელი, შრომა დამკვრელური*



# თაოსნობას ფართო გზა

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა გაშალა შეჯიბრება დევიზით „ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს — დამკვრელური შრომა!“ ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა კომბინატის დირექტორს **გივი ბუცხრიკიძეს.**



### ათი კითხვა დირექტორს

**კითხვა:** რა სახის პროდუქციას უშვებს კომბინატი და როგორია მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე?

**პასუხი:** ალბათ ბევრჯერ შეგხვედრიათ მაღაზიებში ჩვენი კომბინატის მიერ გამოშვებული მხატვრული კერამიკის ნაწარმი: დოქები, ვაზები, სურები და სახალხო მოხმარების სხვა საქონელი. მათზე მოთხოვნილება ძალზე დიდია არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავშირში და საზღვარგარეთაც. კომბინატი უშვებს აგრეთვე კედლის მოსაპირკეთებელ ფილებს და სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმს (უნიტაზები, ხელის საბანი ნიჟარები, ურნები). ეს ისეთი პროდუქციაა, რაზეც მოთხოვნილება, შეიძლება ითქვას, განუზომელია. მშენებლობის დღევანდელმა გაზრდილმა ტემპებმა განაპირობა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკაც და აღნიშნული პროდუქციის სხვა მომხმარებლებიც — შუა აზიის რესპუბლიკები, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილოეთი კავკასია განუწყვეტლივ მოითხოვენ: — მოგვაწოდეთ რაც შეიძლება მეტი!

**კითხვა:** ცნობილია, რომ კომბინატმა წარმატებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი, არც ისე დიდი ხნის წინათ კი ჩამორჩენილად ითვლებოდა. რა იყო ჩამორჩენის მიზეზი?

**პასუხი:** ჩამორჩენის მიზეზი მრავალი გახლდათ. უპირველესად შეიძლება დავასახელოთ მოშლილი ტექნოლოგიური დისციპლინა, სახელმწიფო კანონიერების, სოციალისტური მართლწესრიგის ნორმების დარღვევის ფაქტების სიხშირე. ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული ლოთობა, სამუშაოს გაცდენა, დაგვიანება. ადგილი ჰქონდა ძოშვებულობას, უპრინციპობას, თვითდინებას. თავდაპირველად მივხედეთ შრომის სწორ ორგანიზაციას და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. ყველაფერი გაკეთდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მუშაკთა ფიზიკური და სულიერი ძალების მიზანსწრაფული, შემოქმედებითი გამოყენებისათვის, სამუშაო დროის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისათვის. ასე მაგალითად, მასის მოსამზადებელ საამქროში, რომელიც ამარაგებს საშენებლო ნახევარფაიფურის და მოსაპირკეთებელი ფილების საამქროებს, ხშირად ირღვეოდა ტექნოლოგიური დისციპლინა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ზოგჯერ ეს საამქროები თავიანთ ცუდ მუშაობას აწერდნენ მასის მოსამზადებელ საამქროს და ამით ფარავდნენ საკუთარ ცოდვებს. ჩვენ გავაერთიანეთ ეს საამქროები. ამან გამოიწვია პასუხისმგებლობის გაზრდა, განმტკიცდა ტექნოლოგიური დისციპლინა და ეს შედეგებსაც დაეტყო.

ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მეცადინეობის შედეგად აღმოიფხვრა შრომის დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. თავისი შედეგი გამოიღო გაცდენებსა და დაგვიანებებზე დროული რეაგირების პრაქტიკამ, მატერიალური წახალისების ფორმების სწორად გამოყენებამ. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ დიდად გაიზარდა მუშათა შრომის აქტიურობა. მიღწეული წარმატებები გახდა კოლექტივში გარკვეული თვისობრივი ცვლილების საფუძველი. თუ წინათ იყო მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებისა და თავისი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალების შემთხვევები, ახლა ამისათვის საფუძველი მოსპობილია. კოლექტივი უფრო მტკიცე და ერთსულოვანი გახდა, ერთის საქმე ყველას საქმედ იქცა და ყოველგვარი გადახვევა ტექნოლოგიური მოთხოვნილებიდან დასაწყისშივე ისპობა.

**კითხვა:** მაინც რა მიგაჩნიათ შემობრუნების ყველაზე გადამწყვეტ ფაქტორად?

**პასუხი:** ახლა მაგალითი მოვიშველიოთ.









ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბინატის გარღვევის უდიდესი ნაწილი სამშენებლო ნახევარფაიფურის პროდუქციის წარმოებაზე მოდიოდა. 1972 წლის სამი კვარტალის გეგმა კომბინატმა ვერ შეასრულა და სამარცხვინოდ ჩამორჩენილმა დაიწყო მეოთხე კვარტალი. სწორედ ამ დროს მოხდა აქ ორგანიზაციული ცვლილებანი. ჩვენ მიზნად დავისახეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, შეგვესრულებინა წლიური გეგმა. ამის მისაღწევად საჭირო იყო დეკემბერში (ლაპარაკია 1972 წელზე) ნაცვლად გეგმიური 368 ერთეულისა, პერიოდული მოქმედების შახტური ღუმელიდან ყოველ ციკლზე მიგვეღო არანაკლებ 430 სტანდარტული ნაკეთობა. შრომის სწორი ორგანიზაციის გარდა საჭირო იყო იმ ადრე განმტკიცებული აზრის უკუგდება, თითქოს ღუმელების წარმადობა მაქსიმუმამდე იყო გამოყენებული. არად აგდებდნენ იმ ერთეულ შემთხვევებს, როცა ცალკეულ ღუმელებზე წინა თვეში უკვე მოახერხეს 450 ნაკეთობის გამოშვება. დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მიზნად დაისახეს გეზი მოწინავეებზე აეღოთ და ეს ერთეული შემთხვევები სისტემად ექციათ, რაც მარტო გეგმის კი არა, ვალდებულების შესრულებასაც უზრუნველყოფდა. ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ, რომ ადამიანებში თანდათანობით განგვემტკიცებინა საკუთარი შემოქმედებითი ძალების რწმენა. ეს იყო დიდი გამოცდის პერიოდი და ამ გამოცდას კოლექტივმა წარმატებით გაუძლო — გამოშვებული იქნა 139.713 ერთეული სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმი.

აქვე გვინდა გითხრათ, რომ ამჟამად ეს ციფრი დიდად არის გადაჭარბებული და ღუმელების შესაძლებლობის მიჩნეული „ზღვარი“ ჩვენთან დღეს სასაცილოდაც არავის ყოფნის.

დიახ, ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელზედაც თქვენ მეკითხებოდით, გახლდათ რწმენა, საკუთარ შესაძლებლობათა ურყევი რწმენა.

**კითხვა:** ალბათ იყო მრავალი წინააღმდეგობა. მაინც რომელს თვლით უფრო არსებითად?

**პასუხი:** შარშან, წლის დასაწყისში, კარგად გვესმოდა, რომ წინა წლის შედეგები სრულად არ გამოხატავდა ჩვენს შესაძლებლობებს, მაგრამ, ცოდვა აღიარებული სჯობს, მაინც შეგვეშინდა და სულ რაღაც 4 ათასი მანეთით გავზარდეთ 1972 წლის მაჩვენებლები. საბედნიეროდ, შეცდომას დროზე მივხვდით და იანვარშივე ავიღეთ გადიდებული ვალდებულებანი. ეს ვალდებულებები კიდევ სამჯერ გადავსინჯეთ და საბოლოოდ გადავწყვიტეთ გეგმის ზევით გვეწარმოებინა 300 ათასი მანეთის პროდუქცია. ამან წონასწორობიდან გამოიყვანა კოლექტივში დარჩენილი ყველა ობივატელი. ისინი ხშირად მალულად და ზოგჯერ აშკარადაც კი გვიყიჟინებდნენ: — დაღუპავთ კოლექტივს, უკიდურესად დაძაბავთ ვალდებულებებს და ისინი მხოლოდ ქაღალდზე დაგრჩებათო. ისინი, ერთის შეხედვით, თითქოს მართალნიც კი იყვნენ. ჩვენ არ გაგვითვალისწინებია არავითარი კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის, დადგმული მოწყობილობების მოდერნიზაციისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, და ასეთ პირობებში წარმოების გაზრდა თითქმის 11,5 პროცენტით, მართლაც არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. კოლექტივის მობილიზაცია აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის იოლი საქმე არ იყო. კოლექტივის მეთაურთა შემადგენლობის ნაწილში ფესვგადგმული ობივატელური ტენდენციები შეიძლებოდა გადასულიყო მუშათა შორისაც და მაშინ დაწყებული საქმე საბოლოოდ დაიღუპებოდა.

შექმნილ ვითარებაში მთავარი იყო მუშების სწორი ორიენტირება, მათი თვითშემოქმედებისათვის ფართო ასპარეზის შექმნა, ობივატელურ ტენდენციებთან გადამწყვეტი ბრძოლა, მომავლის რწმენის ყველა ღონისძიებით განმტკიცება.

ვარაუდში არ შევმცდარვართ. ობივატელები საბოტაჟსაც კი შეეცადნენ, მაგრამ კოლექტივმა უარყო მათი ტენდენციები და თავისი გზით განაგრძო სვლა.

**კითხვა:** მასების დარაზმვის, სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად მათი მობილიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო და ნაცად საშუალებად მიჩნეულია სოციალისტური შეჯიბრება, მისი მასობრივობა, საჯაროობა. შეასრულა თუ არა მან ეს როლი თქვენს საწარმოში? როგორ მოაწყეთ იგი?

**პასუხი:** სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ნაცადი და ერთგული თანაშემწეა. ბოლო ხანებში იგი კიდევ უფრო კონკრეტული გახდა და კომბინატის თითქმის ყველა უბანი მოიცვა. შეჯიბრება გაშლილია მუშებს, ბრიგადებსა და საამქროებს შორის. სისტემატურად მოწმდება და საჯაროდ ცხადდება შედეგები. ვიყენებთ შეჯიბრების სხვადასხვა ფორმებს. ძალზე კარგი შედეგი მოჰყვა სპეციალობაში საუკეთესოს სახელისათვის, ცვლისა და ციკლის რეკორდებისათვის მოძრაობას. საამისოდ დაწესებულია ვიმპელები (მუშებისათვის), გარდამავალი დროშები (ბრიგადებისა და ცვლებისათვის, საამქროებისა და უბნებისათვის). ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს არ მოვადუნოთ და სწორად წარვმართოთ მშრომელთა აქტივობა, ყოველდღიურად ვზარდოთ მუშაკთა ინიციატივა.

**კითხვა:** თქვენს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე იგრძნობა, რომ მაღალ დონეზე დგას თვალსაჩინო აგიტაცია. ალბათ მანაც თავისი სიტყვა თქვა კოლექტივის წარმატებებში?

**პასუხი:** დიახ, ალბათ იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ არსად ჩანს ზოგადი დეკლარაციული ლოზუნგები. ჩვენ ისინი დავაკონკრეტეთ და სწორედ შემოსასვლელშივე და კომბინატის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ასეთ მოწოდებებს წაიკითხავთ: „592 ცალი ნახევარფაიფურის ნაწარმი ციკლზე მიღწეულია, ვიბრძოლოთ მისი გადაჭარბებისათვის!“. „1650 კვადრატული მეტრი ფილა ცვლაში რეალური ამოცანაა, ვიბრძოლოთ მისი შესრულებისათვის!“ „მექანიკური და ენერგეტიკული სამსახურის მუშაკებო! გახსოვდეთ: 1 საათით აგრეგატის მოცდენა დაკარგული ათასი მანეთია“.

ყოველ საამქროშია სოციალისტური შეჯიბრების ამსახველი დაფები, სადაც ყოველდღიურად იცვლება ციფრები. ალბათ თვალში მოგხვდათ ელვა-ფურცლები, რომლებიც აკრიტიკებენ ყველას, ვინაც მოუქნელი მუშაობით ხელი შეუშალა საერთო საქმეს.

**კითხვა:** შარშანდელი წარმატება დაძაბული შრომის ნაყოფი იყო. ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლებლობა ამოწურულია?

**პასუხი:** კომბინატის თითოეული მუშაკი ამ კითხვაზე თამამად გიპასუხებთ, რომ არის მრავალი გამოუყენებელი რეზერვი, მრავალი ამოუწურავი შესაძლებლობა, რომლებსაც მალე ჩავაყენებთ ხალხის სამსახურში. თუმცა თითოეულის სიტყვა რა საჭიროა, ამაზე ნათლად მეტყველებენ ჩვენი წლევანდელი გეგმები და ვალდებულებები. უკვე მოგახსენეთ, თუ რა დიდი ბრძოლის ფასად დავძლიეთ 1972 წლის ჩამორჩენა ნახევარფაიფურის წარმოებაში, როცა გამოვუშვით 139,7 ათასი ცალი ნაკეთობა. ამჟამად ეს უბანი ყველაზე მოწინავეა კომბინატში. შარშან აქ 166 ათასამდე ნაწარმი გამოვუშვით, ხოლო წელს კი, როგორც ამას შემხვედრი გეგმა ითვალისწინებს, ეს ციფრი 195 ათასამდე გაიზრდება. ჩვენმა კოლექტივმა ჯერ კიდევ გასულ წელს დააზუსტა თავისი შესაძლებლობები და გადაწყვიტა 1974 განმსაზღვრელი წლისათვის საერთო პროდუქციის მოცულობა 3.200 ათას მანეთამდე გაზარდოს, რაც 600 ათასი მანეთით მეტია ხუთწლედის საკონტროლო ციფრზე. ეს უნდა მოხდეს ისევ და ისევ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის, მშრომელთა ინიციატივის ზრდის ხარჯზე. კოლექტივში ყველა წინაპირობაა შექმნილი ვალდებულების გასანაღდებლად, ყველა სულიერი და მატერიალური ძალაა მობილიზებული.

**კითხვა:** თითქმის არაფერი გითქვამთ ტექნიკის სიახლეთა დანერგვაზე.

**პასუხი:** წელს უკვე დაიწყო კომბინატის რეკონსტრუქციის სამუშაოები, ამიტომ ტექნიკის სიახლეთა დანერგვაზე შეგნებულად შევიკავეთ თავი, კაპიტალური დაბანდებები მოკლე დროისათვის მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. რეკონსტრუქციის შემდეგ წლიურად 750 ათას კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება ფილების წარმოება, 550 ათასიდან ერთ მილიონ მანეთამდე მიაღწევს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, დიდად გაიზრდება სამშენებლო ნახევარფაიფურის წარმოება, ამაღლდება წარმოების კულტურა, შემსუბუქდება შრომა, ამაღლდება შრომის ნაყოფიერება და, რაც მთავარია, ჩვენს მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი მიაღწევს მსოფლიო ეტალონის დონეს და ყოველივე ეს არც თუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მსახიობი ოქროს ფონდიდან





თამარ დედოფალი — ა. წერეთლის „თამარ ცბიერი“.



ეფროსინე — მ. ბარათაშვილის „მარინე“.



თამარი — თ. აბაშიძე, გოჩა — ა. ბარათაშვილი
აკ. წერეთლის „თამარ ცბიერი“.



ბებია — რ. ჩხეიძის კინოფილმი „ჩვენი ეზო“

1952 წელს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა ზეიმით აღნიშნეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის თამარ აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი. უამრავ მილოცვებს შორის გამოირჩეოდა ბარათი, რომლის ავტორი, ჭიათურის მკვიდრი, იმხანად თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი მიხეილ ჩახუნაშვილი შემდეგი სტრიქონებით ამთავრებდა მილოცვას:

**„თუნდაც თმაში მე ქაღარა
გამერიოს, დამრჩეს ხატად,
ჯერ დავხატავ მშობელ დედას,
შემდეგისთვის შენ დაგხატავ“.**

გულწრფელი სტრიქონების მიზანი ნათელია — იმდენად დიდი იყო თამარ აბაშიძის აქტიორული ხელოვნების ზემოქმედებითი ძალა, რომ მაყურებელს პოეტური ფრაზებიც კი შეათხზვევინა.

თამარ აბაშიძეს ბავშვობიდანვე იზიდავდა მსახიობობა. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მოსწავლეებმა ოსტროვსკის პიესა — „სიღარიბე ნაკლი არ არის“ წარმოადგინეს. პელაგია ეგოროვნას როლს ასრულებდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლე თამარ აბაშიძე. ეს იყო 1910 წელს. იმ დიდმა წარმატებამ, რომელიც თამარს ხვდა ამ როლის განსახიერებით, საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა. „მას შემდეგ გამუდმებით ვოცნებობდი თეატრზე. თითქოს რაღაც მაკლდა ცხოვრებაში“ — ვკითხულობთ მსახიობის ხელნაწერ მოგონებებში.

უკმარისობის ეს გრძნობა თ. აბაშიძეს სამი წელი აწამებდა. 1913 წელს, მუშა-მსახიობი ქალის ნატალია სიხარულიძის უშუალო ინიციატივით თამარ აბაშიძე ჭიათურის ნახევრად პროფესიული მუშათა თეატრის შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხდება.

1916-1919 წლებში თ. აბაშიძე სწავლობდა ქ. დონის-როსტოვის რუსულ დრამატულ სტუდიაში და თან პარალელურად მონაწილეობდა ასმოლოვის თეატრის სპექტაკლებში. აქ თ. აბაშიძის პედაგოგები იყვნენ: დემიური (სტუდიის ხელმძღვანელი), ასმოლოვი, სტეპანოვი, პოპოვა და სხვები. სტუდიის დამთავრების შემდეგ, ერთი სეზონის განმავლობაში (1919-20 წ.წ.) თამარი მსახიობად მუშაობდა მე-11 არმიის პოლიტგანყოფილების თეატრში, რომლის ხელმძღვანელი იყო შჩეგლოვ-სტეპანოვი.

1920 წლიდან თამარ აბაშიძე მუშაობას იწყებს მშობლიური ჭიათურის თეატრში, სადაც ორი წელი დაჰყო. 1923 წლის სეზონში თ. აბაშიძე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია; მომდევნო სეზონში კი ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობს, შემდეგ წლებში (1925-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929) იგი პერიოდულად მუშაობს ჭიათურის, ქუთაისის და ოზურგეთის თეატრებში. 1930 წლიდან თ. აბაშიძე კვლავ ჭიათურის თეატრშია, სადაც ამჯერად ათი წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მსახიობმა შექმნა მაღალმხატვრულ სცენურ სახეთა მთელი გალერეა, რომელთა შორის ვხვდებით როგორც ძლიერი ნებისყოფის, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებითა და ვნებით დატვირთულ, ტრაგიკული ჟღერადობის მონუმენტურ გმირ ქალებს: ბერსენიევა (ლავრენიევის „რღვევა"), ემილია (შექსპირის „ოტელო"), ბახუ მესედუ (ი. ვაკელის „შამილი"), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), კრუჩინინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), ვილჰელმინა კუფეკე (ბრუშტეინის „გაგრძელება იქნება"), ასევე მკვეთრად სახასიათო, გროტესკული სიმახვილითა და კომედიური სიმსუბუქით განსახიერებულ პერსონაჟებს: ფოფოდია და კეკელა (შ. დადიანის „გუშინდელნი"), ლირსა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), ორომსე (ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ"), პეპელა (კ. ბუაჩიძის „ფაქიზი განცდები"), ხანუმა (ცაგარელის „ხანუმა") და სხვა.

მარტო ამ სავსებით ურთიერთსაპირისპირო სახეების ჩამოთვლაც კი საკმარისია, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას თამარ აბაშიძის არტისტულ შესაძლებლობებზე. ყველა შემოქმედს როდი შესწევს უნარი თანაბარი სიძლიერითა და მხატვრული დამაჯერებლობით შეასხას ხორცი ესოდენ კონტრასტულ პერსონაჟებს. თ. აბაშიძის აქტიორული პალიტრა ფლობდა იმ ფერებსა და საშუალებებს, რითაც იგი აღწევდა სრულ გარდასახვას. მაინც, რომელ ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა მსახიობის შემოქმედებაში? თამარის სტიქიაა ძლიერი ვნებებისა და გმირულ-რომანტიკული ბუნების ადამიანები. სწორედ მათი განსახიერებისას გამოვლინდა მთელი სისავსით თ. აბაშიძის ინდივიდუალური აქტიორული თვისებების საუკეთესო მხარეები.

ტრაგიკულ ჟღერადობამდე აჰყავდა თ. აბაშიძეს ემილიას („ოტელო") მძაფრი ადამიანური განცდები. ხასიათის სიმტკიცესთან ერთად თამარი თავის გმირს მოსავდა დიდი შინაგანი სითბოთი და ლირიზმით. ტრაგიკული ნოტები გამოკრთოდა თ. აბაშიძის შესრულებაში ბახუ მესედუს („შამილი") განსახიერებისას. მართალია, ეს როლი ტექსტის მიხედვით არ არის მთავარი, მაგრამ იგი ტრაგედიის კვანძის გამხსნელია. თამარ აბაშიძემ შესანიშნავად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ რთულ ამოცანას და, შესრულების სიმძაფრითა და მონუმენტურობით, მართლაც გახდა ტრაგედიის ტონის მიმცემი. მსახიობის შემოქმედებითი მიღწევა ამ როლში მაშინ ხაზგასმით აღნიშნა პიესის ავტორმა იონა ვაკელმა, რომელმაც პრემიერის შემდეგ თავისი ჩანაწერი დასტოვა ჭიათურის თეატრის შთაბეჭდილებათა წიგნში: „ბახუ მესედუ — შამილის დედა — თ. აბაშიძის შესრულებით დიდად ამაღელვებელი და დამაჯერებელი იყო. მსახიობმა მოგვცა შამილის დედის ნამდვილი სახე".

კომედიურობის მართალი განცდით დააჯილდოვა თ. აბაშიძემ ცაგარელისეული ხანუმა. მსახიობს შესანიშნავად ჰქონდა მიგნებული ძველი თბილისის ბინადარის, გაქნილი და მოხერხებული მაჭანკლის ხარბი და ანგარებიანი ბუნებისათვის დამახასიათებელი შტრიხები. თ. აბაშიძე ხაზს არ უსვამდა ხანუმას გარეგნულ ეფექტურობას. იგი იყო უბრალო, სადა, მაგრამ ამ ხერხით როდი არღვევდა მხატვრული სახის მთლიანობას. თამარ აბაშიძე უფრო რთულ გზას დაადგა — თავისი გმირის შინაგანი ბუნების გახსნისას მიზნად დაისახა ხასიათის უმნიშვნელო დეტალების, უაღრესად ზუსტი, ცხოვრებისეული ნიუანსების გამოკვეთა და წარმოჩენა, რითაც როლის დამუშავების ნამდვილი ოსტატობა გამოავლინა.

1939-40 წლების თეატრალური სეზონიდან თამარ აბაშიძე გორის სახელმწიფო თეატრში გადადის. აქ მუშაობის ათი წლის მანძილზე თ. აბაშიძემ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და მაყურებელთა გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა. მან უთუოდ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გორის თეატრის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და აღორძინებაში. ამ პერიოდში შექმნილი სახეებიდან უნდა გამოვყოთ: სოფიო (ი. გედევანიშვილის „გადასასვლელზე"), ანაიდა (მ. ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი"), დედოფალი (ა. წერეთლის „პატარა კახი"), ზეინაბი (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი"), მარიამი (გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა"), ატუევა (სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება") და სხვა.

მათ შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი ზეინაბს („ღალატი"). თ. აბაშიძის ზეინაბი ტიტანური ვნებისა და ძლიერების განსახიერება იყო; იგი ცოცხლობდა მხოლოდ იმ რწმენით, რომ სამაგიეროს მიუზღავდა ქართველი ერის დამთრგუნავთ. აი, რას წერდა იმდროინდელი პრესა მსახიობის ნამუშევარზე: „სპექტაკლის მშვენება თამარ აბაშიძის ზეინაბია. იგი სამშობლოსათვის მოგიზგიზე კლეოპატრაა". „გაზეთი „სტალინელი" (21.X 1943 წ.).

1949 წლიდან თამარ აბაშიძეს კვლავ ჭიათურის თეატრის სცენაზე ვხვდებით, ამჯერად იგი აქ უკვე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოღვაწეობს. ბოლო წლებმა მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიას შესძინა ისეთი მაღალმხატვრული სცენური სახეები, როგორებიცაა: ნატალია კოვშიკი (კორნეიჩუკის „უზანის ჭალა"), თამარი (ა. წერეთლის „თამარ ცბიერი"), ეფროსინე (მ. ბარათაშვილის „მარინე"), ოთარაანთ ქვრივი, ვასა ჟელეზნოვა და სხვა.

თანამედროვე საბჭოთა ადამიანის, უკრაინელი გლეხი ქალის ნატალია კოვშიკის სახეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს თ. აბაშიძის შემოქმედებაში. მისი ნატალია შემკული იყო მშრომელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებით — სისპეტაკით, სალი გონებით, ადამიანებისადმი ღრმა და ფაქიზი სიყვარულით.

დრამატულ განცდათა სიღრმემ და მასშტაბმა კვლავ მთელი სისავსით იჩინა თავი თ. აბაშიძის ახალ ნამუშევარში — ოთარაანთ ქვრივის ურთულეს სახეში.

მსახიობის უცილობელ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ეფროსინეს განსახიერება მ. ბარათაშვილის კომედიაში „მარინე". იშვიათი იყო ისეთი ბუნებრიობა, როგორსაც თამარ აბაშიძე ავლენდა ამ როლში. იგი სცენაზე ცხოვრობდა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. რამდენი სითბო, სინათლე და სიყვარული იყო ჩაქსოვილი ეფროსინე — თ. აბაშიძის დამოკიდებულებაში თავის ონავარ შვილიშვილთან. როგორი ხალასი იყო იგი მოფერების დროს, გულში ჩასაკრავადაც კი ვერ იმეტებდა შვილიშვილს „ხეირიანად", თითქოს შიშობდა — ვაითუ, რამე ვატკინო!.. როგორი ძალდაუტანებელი იყო ყოველი მისი მოქმედება, რა მსუბუქი იუმორით გამსჭვალული. ვისაც კი ჰქონდა ბედნიერება ენახა თ. აბაშიძის ბებია ეფროსინე, ის დიდხანს ვერ დაივიწყებს ამ სათნო და კეთილ მოხუცს.

თამარ აბაშიძემ ეკრანზედაც განასახიერა ბებია (ს. დოლიძის ფილმში „ჭრიჭინა"). მაგრამ ამჯერად არა ეფროსინე, არამედ — ელპიტე. ეფროსინეს მსგავსად, ელპიტეც სათნო და კეთილი, ჭრიჭინაზე ფანატიკურად შეყვარებული ბებია, მაგრამ თ. აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას უმნიშვნელო დეტალიც კი არ ჰქონდა გადმოტანილი ეფროსინეს სცენური იერსახიდან. სულ სხვა განწყობილება, სულ სხვა ხასიათი მოგვცა მსახიობმა ეკრანულ სახეში. კიდევ ერთი ბებია შემოგვინახა ეკრანზე თ. აბაშიძემ (რ. ჩხეიძის ფილმში „ჩვენი ეზო"), ამჯერადაც სათნო. მოსიყვარულე, სამუდამოდ რომ ჩაგრჩება მეხსიერებაში.

თამარ აბაშიძემ მთელი თავისი ენერგია და მრავალმხრივი ნიჭი კეთილსინდისიერად, პროფესიონალიზმის მაღალი შეგნებით მოახმარა პერიფერიული თეატრების წინსვლა-განვითარებას; სავსებით სამართლიანად შენიშნავს თამარის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ცნობილი ქართველი რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი თავის მემუარული ხასიათის ნაშრომში: „თ. აბაშიძე, როგორც შემოქმედი, მეტი სარბიელის ღირსი იყო, ვიდრე ჰქონდა, მაგრამ მისი პროფესიულობა და დიდი შეგნება რანგებით და საფეხურებით არ ზომავდა ხელოვნებას, და სადაც კი მას უხდებოდა მუშაობა, ყველგან თავისი ოსტატობით ხალხს ახარებდა".

თამარ აბაშიძის ხელოვნება მართლაც რომ მუდამ დიდი სიხარულის მომტანი იყო. სწორედ ამიტომ იძენს ესოდენ დიდ მნიშვნელობას თ. აბაშიძის აქტიორული მემკვიდრეობა. მსახიობის მიერ შექმნილი არაერთი ბრწყინვალე სცენური სახე განსაკუთრებულ ელფერსა და მიმზიდველობას ანიჭებს, ამდიდრებს და ალამაზებს ქართული აქტიორული ხელოვნების ოქროს ფონდს.

ვაჟა ძიძუა

დაბეჭდილი წერილების კვალდაკვალ

# ადამიანი ადამიანისათვის...

ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ადამიანის გულისტკივილი, დაღონება თუ მწუხარება მკითხველს გულთან ახლო მიაქვს და კეთილი სიტყვით, რჩევით, თანაგრძნობით ეხმაურება მას.

შეწუხებული ადამიანისათვის კი თანაგრძნობა, სითბო და ყურადღება ის მალამოა, რომელიც თუ სრულად არ მკურნავს, აყუჩებს მაინც გულისტკივილს. ეს არცაა გასაკვირი. კომუნიზმის მშენებელთა მორალურ კოდექსში სწერია: „ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია".

მკითხველთა ფართო გამოხმაურება გამოიწვია ჟურნალში გამოქვეყნებულმა „უმისამართო ბარათებმა".

განსაკუთრებით რიცხვმრავალი იყო ფოსტა, რომელიც ეხებოდა წერილს „მაქვს თუ არა უფლება, გამოვექომაგო?" („საქ. ქალი" № 10, 1978 წ.), ბარათში მოთხრობილი იყო ახალგაზრდა გოგონას ამბავი, რომელიც სამუშაოდ მივიდა ერთ-ერთ საწარმოში. ამ საწარმოს დირექტორმა, 42 წლის მამაკაცმა, რომელსაც ცოლი და სამი შვილი ჰყავს, შეაცდინა ქალიშვილი, ხოლო შემდეგ ყოველმხრივ ცდილობს სამსახურიდან გააგდოს დამცირებული ქალი.

კოლექტივი კი ამას ხედავს და არავის არ ჰყოფნის გამბედაობა სისაძაგლე ამხილოს, პირში უთხრას დირექტორს, რასაც მისი საქციელი იმსახურებს. შეურაცხყოფილი ქალი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და გამოსავალს ვერ ხედავს.

წერილის ავტორი, რომელიც მხოლოდ ინიციალებით აწერს ხელს რედაქციაში გამოგზავნილ ბარათს, ჰკიცხავს დირექტორს, კოლექტივს და კითხულობს, — მაქვს თუ არა უფლება, გამოვექომაგო გოგონას, რომელიც მისი სკოლის მეგობარიცაა, თანაც პირობას გვაძლევს, რომ თუ კი ჩვენ უარყოფით პასუხს გავცემთ „სხვის საქმეში არასოდეს ჩაერიოს".

სანამ წერილებს გაგაცნობდეთ, თვით ამ ბარათის ავტორზე ვთქვათ. რით განსხვავდება ის კოლექტივის სხვა წევრთაგან, რომელთა დუმილს თავის წერილში სასტიკად ჰკიცხავს? იმით, რომ რედაქციაში ხელმოუწერელი ბარათი გამოგზავნა და სახლში სხვისაგან მალულად, თვალცრემლიან მეგობარს სანუგეშო სიტყვა უთხრა?

სად ჩანს მისი პრინციპულობა და სიმტკიცე? ისიც ხომ, როცა ინიციალებს ამოეფარა, ისევე მოერიდა დირექტორის წყენინებას, როგორც სხვები! მან ერთგვარი ხელშეუხებლობის გარანტია მიგვთხოვა. თუ რედაქცია და მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მხარს დაუჭერს, მაშინ საკუთრივ მას რაღა დარჩება გასაკეთებელი ბოროტებასთან ბრძოლაში?

სხვათაშორის, ბევრი მკითხველიც ამ აზრისაა. მათი საერთო აზრი ასე შეიძლება გამოვხატოთ: „თქვენ არამცთუ უფლება გაქვთ გამოსარჩლებისა, არამედ ვალდებულიც ხართ ეს გააკეთოთ".

ასევე ერთსულოვანი არიან ჟურნალის მკითხველები ერთში: ვამხილოთ უღირსი კომუნისტის, საწარმოს დირექტორის ვინაობა და კანონის მთელი სიმკაცრით მოვთხოვოთ მას პასუხი.

„ყველა საბჭოთა ადამიანის, მითუმეტეს, კომუნისტის მოვალეობაა ებრძოლოს უხამსობას, ჩვენი სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებისაგან გადახვევას. ჰოდა, რად დუმს წერილის ავტორი, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე? ან რატომ დახუჭა საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციამ თვალი თავისი კომუნისტის უმსგავსო საქციელზე?"

„მოვითხოვ დირექტორის მხილებას და მის დასჯას", — გვწერს არჩილ ჯამასპიშვილი სოხუმიდან.

ამავე აზრს იზიარებს გორელი ადეიშვილი: „რა შუაშია კრება? დირექტორი უნდა მოიხსნას თანამდებობიდან და მიეცეს პასუხისგებაში".

ზუგდიდის მე-13 საშუალო სკოლის პედკოლექტივი თავის კოლექტიურ წერილში აღშფოთებას გამოსთქვამს უღირსი დირექტორის საქციელის გამო და მოითხოვს მის დაუფარავად მხილებას.

„დირექტორის დანაშაული, ცხადია, აშკარაა, მაგრამ არანაკლებ დამნაშავედ, მე ვიტყოდი, დანაშაულის თანამონაწილედაც კი ჩაითვლებიან ის ადამიანები, ვინც დამალა დანაშაული, არ ამხილა და არ ამოძირკვა იგი", — გვწერს ლენტეხის რაიონის სოფელ რცხმელურის მცხოვრები მადლენა ტვილდიანი.

„თუ კოდექსის რომელიმე მუხლი დირექტორის მახინჯ საქციელს არ მიესადაგება, ხომ გვაქვს მეორე, დაუწერელი კანონი, დაისაჯოს ამ დაუწერელი კანონის მთელი სიმკაცრით, დასტოვოს თანამდებობა, იმსჯელონ მის პარტიულობაზე", — მოითხოვს მახარაძელი პენსიონერი დავით მახვილაძე.

„მართალია, ცუდი რამ შეემთხვა თქვენს მეგობარს — იწერება ნ. ბულია თბილისიდან, — მაგრამ სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდება. დაე, იცოდეს, რომ მას კარგი ადამიანებიც შეხვდებიან ცხოვრებაში და ამ ცუდს ცუდი სიზმარივით დაივიწყებენ".

კომკავშირელი მარინე დურგლიშვილი გორიდან საყვედურობს წერილის ავტორს, რომ მას არ ეყო გამბედაობა, კრებაზე გამოტანა დირექტორის საკითხი და მოუწოდებს ავტორს: ახლაც არ არის გვიან. ბოროტებას, ადრე იქნება თუ გვიან, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

ლაგოდეხის რაიონის, ულიანოვკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნანული ჩაჩანიძე მოღალატეს უწოდებს დირექტორს: „მან უღალატა როგორც საკუთარ ოჯახს, საკუთარ შვილებს, ისე სხვის უდანაშაულო შვილს, რომელიც ასაკით მას სწორედ შვილად ერგება. რა ღირსია ის პარტიისა და ხალხის ნდობის? რატომ არ მიდის წერილის ავტორი ანდა თვითონ დირექტორის ავხორცობის მსხვერპლი პარტიის რაიონულ კომიტეტში?".

ბაკურციხელი ახალგაზრდა გიორგი ჯავახიშვილი მოითხოვს წერილის ავტორის მისამართს, რათა პირადად მისწეროს მას, რასაც ფიქრობს.

სამწუხაროდ, რედაქციას არა აქვს შესაძლებლობა ეს სურვილი დააკმაყოფილოს.

ავტორთა ერთი ჯგუფი, კიცხავს რა დირექტორის უგვან საქციელს, მკაცრ სიტყვას ამბობს ქალიშვილზეც:

„რატომ გიკვირთ, რომ ხალხს ამ გოგონაზე ეჭორავა. განა მან არ იცოდა, რა შედეგიც მოჰყვებოდა სამშვილიან მამაკაცთან ამგვარ სიახლოვეს? ვთქვათ, დირექტორს არ მოესურვებინა მისი სამსახურიდან გაძევება. მაშინ? გააგრძელებდა ახალგაზრდა ქალი დირექტორთან ურთიერთობას? რა დავარქვათ ამგვარ საქციელს, რით გავამართლოთ ის ხალხის თვალში?", — გვწერს ციალა ძაძამია სოხუმიდან.

ამავე აზრს იზიარებს რუსთავის ქიმიური კომბინატის უფროსი ოსტატი დიმიტრი ზვიადაური:

„ცხადია, დირექტორი გარეწარია, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას ძალადობა არ უხმარია. ვინ ან რამ აიძულა ახალგაზრდა ქალი, დათანხმებოდა ინტიმურ კავშირის დაჭერას მამის ტოლ კაცთან? სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა როდია! ზოგი ახალგაზრდა ქალი იჩენს უნებისყოფობას, ადვილად აჰყვება სხვის ვნებას და ივიწყებს მოსალოდნელ შედეგს. რამდენი ტკბილი ოჯახი გაუმწარებია ამგვარ რომანებს, რამდენი ოჯახის დედა ჩაუგდია სასოწარკვეთილებაში ასეთ „სიყვარულს".

ამასვე გვწერენ და ახალგაზრდა ქალებს მეტი თავშეკავებისაკენ, დაფიქრებისა და სერიოზულობისაკენ მოუწოდებენ სხვა ავტორებიც — მერი ცხვედიანი, ც. კვირაია, ნელი ჩინჩალაძე, ვ. კოსტავა, მ. კუბლაშვილი და სხვები.

ხმა ერისა, საზოგადოების ხმა, როგორც ყოველთვის, ახლაც სამართლიანია. თავისი სიმართლით, ჰუმანურობით, ობიექტურობით ის თვითონვე ჰკურნავს იარას, რომელსაც შეიძლება აყენებდეს ბოროტების მსხვერპლის გულს.

„ვამხილოთ, დავსაჯოთ, სიფხიზლისაკენ მოვუწოდოთ!" — აი, მოკლედ უმისამართო ბარათების ექო.

ნარგიზა მგელაძე



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

# იგი დაიღუპა გემ „პორტუგალიაზე"



არიან ადამიანები, რომლებიც სპეციალურად არ ეძიებენ დიდებას, ცხოვრობენ უჩუმრად, უპრეტენზიოდ, თითქოს შეუმჩნევლნიც არიან, მაგრამ დგება კრიტიკული ჟამი და „საქმენი საგმირონი", რასაც ისინი მოულოდნელად ჩაიდენენ ხოლმე, უცბად ხდის მათ სახელს ყველასათვის ცნობილს.

ერთი მათგანი გახლავთ ანეტა ანდრონიკაშვილი, 24 წლის ლამაზი, კეთილი და სათნო ქალიშვილი, რომლის თავდადება კიდევ ერთი ძვირფასი ფურცელია ქართული მედიცინის ისტორიაში.

1961 წლის „საქართველოს ქალის" ერთ-ერთი ნომერი მოკლე ცნობას უძღვნის მის პატრიოტულ მოქმედებას.

ჩვენს მიერ ამჟამად შეგროვილი სხვადასხვა სახის მასალა კი გვაძლევს საშუალებას, ვრცლად მოვუთხროთ ჟურნალის მკითხველს სახელოვანი თანამემამულის შესახებ.

1916 წლის 27 მარტს გაზეთ „სახალხო ფურცელში" მოთავსებული იყო სამგლოვიარო შინაარსის ცნობა — „დღეს, 27 მარტს, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი გემ „პორტუგალიაზე" დაღუპულ ანეტა ანდრონიკაშვილის სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბებია, დედა, დები და ძმები განსვენებულისა. პანაშვიდი დაიწყება 4 ნახევარ საათზე".

...ლაზისტანის სანაპიროსთან შავი ზღვის ტალღებმა შთანთქეს მისი სიცოცხლე, ხოლო მოგვიანებით ქართულმა მიწამ მიიბარა კახელი თავადის სოლომონ ანდრონიკაშვილის ასული.

„შეძლებული ოჯახის შვილი, მშვენიერთა მშვენიერი, ფუფუნებაში აღზრდილი, სულით არისტოკრატი, დიდთან — დიდი, მცირესთან — მცირე" როგორც ახასიათებს მას საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება", სრულებითაც არ დიდგვდათ თავის წარმოშობას, ერთთავად მზად იყო მხოლოდ სიკეთე ეთესა, ხალხის სამსახურისათვის საკუთარი სიცოცხლეც არ დაეზოგა.

და აი, პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ქართველი ქალიშვილი თბილისის მოწყალების დების კურსებს ამთავრებს და თბილისის წმინდა ნინოს ლაზარეთში იწყებს სამსახურს. თეთრხალათიანი მოწყალების და ფრონტიდან მოყვანილი დაჭრილების სული და გული გახდა.

მაგრამ ერთ წელზე მეტხანს ვერ გაჩერდა იგი ლაზარეთის ერთფეროვან ატმოსფეროში, ვერავინ შეაჩერა მისი სწრაფვა ფრონტისაკენ, ანეტა გაემგზავრა წინა პოზიციებზე, აჭარაში, და ჭოროხის სანიტარულ რაზმში მოწყალების დად ჩაირიცხა.

რუსული გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩი" ანეტა ანდრონიკაშვილის შესახებ წერდა, რომ იგი მთლიანად მიეცა საქმეს თავდავიწყებამდე. მას არ აწუხებს თავისი ბედი. დაუღალავად შრომობს მხოლოდ ავადმყოფთა და დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ.

„ჰკითხეთ მათ, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მის მზრუნველ ხელში მოხვედრისა, ჰკითხეთ, ბოლოს, მის კოლეგებს სანიტარული სამსახურიდან და მიღებული პასუხები შეგიქმნით ნათელ წარმოდგენას, თუ როგორი გულშემატკივარი, ახალგაზრდული უბიწო სული დაკარგა სანიტარულმა სამსახურმა ჩვენს ფრონტზე".

ნახევარი წელიწადი გაატარა ანეტა ანდრონიკაშვილმა ჭოროხის რაზმში, საშინელ და მძიმე საველე პირობებში. ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე გამოსტაცა ბრძოლის ქარცეცხლს, რამდენი სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფი დააყენა ფეხზე.

მალე მას გემზე ვხვდებით, უფრო რომანტიკულ და ხიფათებით სავსე უბანზე. გემ „პორტუგალიაზე" მოეწყო იგი დაჭრილთა შემხვედრ რაზმში მოწყალების დად და აქ დაასრულა თავისი სიცოცხლე.

გემი „პორტუგალია" ეკუთვნოდა საფრანგეთის ერთ-ერთ ფირმას და ომის დროს საფრანგეთ-რუსეთის საჰოსპიტალო გემი იყო. მისი ეკიპაჟი და სამედიცინო პერსონალი (278 კაცი) ფრანგებისა და რუსებისაგან შედგებოდა. გემზე მოწყობილი იყო სხვადასხვა სახის ლაბორატორიები, კაბინეტები, დაჭრილთა შესახვევი ოთახები და სხვა. „პორტუგალიას" მტერიც მცურავ ჰოსპიტლად თვლიდა, იგი ექვემდებარებოდა დაცვას და საერთაშორისო სამართლის სტატუტის პრივილეგიებით სარგებლობდა.

„პორტუგალია" დაცურავდა შავ ზღვაზე ოდესიდან — სამხრეთის ფრონტის ხაზამდე, თურქეთის სანაპიროებთან ახლოს და გადაჰყავდა დაჭრილები ოდესაში.

იმ საბედისწერო დღესაც, 1916 წლის 17 მარტს ოდესიდან მომავალი „პორტუგალია" ჩვეულებრივი მორიგი რეისით უახლოვდებოდა ანატოლიის ნაპირს. აი, როგორ აღწერს ამ შემთხვევას რუსული ჟურნალი „ნივა":

„გემი-ჰოსპიტალი პორტუგალია“, უკანასკნელ დრომდე ოდესის პორტში მდგომი, იღებს ბრძანებას გაეშუროს ანატოლიის ნაპირებისაკენ, ქალაქ ოფუში და აიყვანოს ნაპირიდან 200-ზე მეტი დაჭრილი მეომარი. 17 მარტს, დილის 8 საათზე „პორტუგალია“ უახლოვდებოდა დანიშნულების ადგილს, გემზე მყოფი სამედიცინო და სანიტარული პერსონალი საქმიანად ემზადებოდა მწყობრიდან გამოსული ჩვენი გმირების მისაღებად.

უკან, ბუქსირით „პორტუგალიას“ მოჰყავდა ტრალერი, რომელიც განკუთვნილი იყო დაჭრილების გადასაყვანად. ცურვის დროს ტრალერში დაგროვდა წყალი და როდესაც გემი რაღაც 5-6 ვერსზე მიუახლოვდა ნაპირს, „პორტუგალია“ გააჩერეს წყლის ამოსაქაჩად. ამ დროს მის ახლოს ტალღებში წყალქვეშა ნავის პერისკოპი გამოჩნდა. ნავმა ირგვლივ შემოუარა გემს და მოულოდნელად ერთიმეორეზე მიყოლებით ესროლა ორი ნაღმი. პირველმა ნაღმმა გვერდით ჩაუარა გემს, ხოლო მეორე მოხვდა შუაგულში, სამანქანო ნაწილში. მოხდა აფეთქება, გემი შუაზე გაიპო, კიჩო და ცხვირი ავარდა წყლის ზემოთ, წუთნახევრის შემდეგ „პორტუგალია“ წავიდა ფსკერისაკენ... კატასტროფის ადგილისაკენ სასწრაფოდ გაეშურნენ ახლოსმყოფი ფელუგები, ტრალერი და კანჯო. მოხერხდა 165 კაცის გადარჩენა, 113 დაიღუპა, დაღუპულთა შორის იყვნენ წითელი ჯვრის რწმუნებული გრაფი ტატიშჩევი, უფროსი მედდა ბარონესა მეინდორფი, თეთრეულების შემნახველი ტიხმენევა, მედდები: ბარონესა არმსგოფენი, ალექსანდროვა, ლიხტანსკაია, ვასილიევა, ოვჩინიკოვა, მინაევა, სულიაევა, მედვეხოვსკაია, იუშჩეკი და აბოლსინა... ფარმაცევტი რატვინსკი, კაპიტნის თანაშემწე ბაუეცი, მექანიკოსის თანაშემწე ნემჩენკო, 20 სანიტარი, 21 მატროსი და ოფიცერი, 19 კაცი საფრანგეთის ეკიპაჟიდან... წითელი ჯვრის შემსკევთა რაზმიდან დაიღუპა ექიმი კონდრიშევი და მოწყალების დები თავადის ასული ანდრონიკოვა, ფლეგინსკაია, სინიაკოვა და ოზერსკაია“.

შავ ზღვაზე დატრიალებული ეს ტრაგედია დროის ყველაზე დიდ საშინელებად მოინათლა მაშინ. უფრო მეტიც, კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ უდიდეს საშინელებად. მთელი მსოფლიო აალაპარაკა ბარბაროსობის ამ ფაქტმა. გაზეთი „დენი“ წერდა: „არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი, შავ ზღვაზე მომხდარი ტრაგედიის შეფასებაში, არ შეიძლება არსებობდეს ორი გრძნობა, მისი შეგრძნების დროს. თუ კი არსებობს კაცობრიობაში სამართლიანობა, მაშინ არ შეიძლება შურისძიების გარეშე ჩაიაროს ამ ახალმა დანაშაულმა“.

ჟენევაში არსებულმა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიმართვა დაუგზავნა ყველა ქვეყნის წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტებს. მან მოითხოვა ალემაღლებინათ ხმა გერმანიის მიერ ჩადენილი ამ საშინელების წინააღმდეგ. მოწინავე კაცობრიობა პროტესტით გმობდა ამ მოქმედებას, მოითხოვდა ბოროტმოქმედთა დასჯას ომის საერთაშორისო ნორმების დარღვევის გამო, თანაგრძნობის დეპეშებს გზავნიდნენ როგორც რუსეთში, ასევე ჟენევაში, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მაშინდელი მსოფლიო პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ტრაგედიას, სასტიკად დაგმო ეს ბარბაროსული აქტი.

საქართველოში (ბათუმსა და თბილისში) და რუსეთში (მოსკოვსა და პეტერბურგში) ტაძრებსა და მონასტრებში გადახდილ იქნა პანაშვიდები დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. რუსეთში გაიშალა მოძრაობა მათი ოჯახებისათვის ფულის შესაგროვებლად.

საქართველოს წმინდა ნინოს ლაზარეთმა, სადაც ადრე მსახურობდა ანეტა ანდრონიკაშვილი, 22 მარტს ცალკე პანაშვიდი გადაუხადა მას. პეტროგრადში მოეწყო ქალთა საპროტესტო გამოსვლები მომხდარი ფაქტის გამო. მათ პროტესტი გაუგზავნეს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას.

„პორტუგალიაზე“ გადარჩენილები, როგორც რუსები, ასევე ფრანგები, ბათუმში ჩამოიყვანეს და საავადმყოფოში მოათავსეს.

გავიდა ორ კვირაზე მეტი და გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩმა“ თავისი აპრილის ნომერში დაბეჭდა ცნობა: გემ „პორტუგალიაზე“ დაღუპულ მოწყალების დების გვამები ნაპირზე გამოირიყა და ბერძენმა მოძღვრებმა დამარხეს.

იქედან კი, როგორც ჩანს, 24 წლის ულამაზესი ქალის ანეტა ანდრონიკაშვილის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს.

**ჯ. ქორჩილავა**

მორალის თემაზე

# უბრალო ამბები

ადრეული გაზაფხულის მზეს ელვარება ჰქონდა მხოლოდ მზისა, სითბო კი მოძლიერებულ ნიავს მიჰქონდა თითქოს.

ბაღში ძალიან ცოტა იყო ხალხი, არც ბავშვთა სიმრავლე ახალისებდა თვალს. ვინც იყო, ისინიც წუთის წინათ სადღაც გაიკრიფნენ და ახლა გაზონებს მიღმა წამიერად თუ გაიელვებდა მათი თავები.

— დამალობანას თამაშობენ,— თქვა გვერდით სკამზე მჯდომმა ორმოციოდე წლის ქალმა, წამოდგა და გვერდით მომიჯდა.

კარგა ხანია ვგრძნობდი გასაუბრება სურდა. ხელჩანთიდან რომენ როლანის ტომი ამოიღო, გადაშალა და წამაკითხა:

„მან გაიმარჯვა, სძლია ადამიანთა შეზღუდულობას, სძლია საკუთარ სვებედს, სძლია ტანჯვასაც“.

— დიახ, ის გენიოსი იყო და ამიტომ გაიმარჯვა, — თქვა ფიქრიანად, — მაგრამ რა ქნან ჩვეულებრივმა ადამიანებმა, ამაზე თუ გიფიქრიათ?

— ვერ მივხვდი რაზე ბრძანებთ?

— მაშ მომისმინეთ!.. ჩვენ შორიდან ვიცნობთ ერთმანეთს და... ვფიქრობ „მოძღვრის“ არჩევაში არ შევმცდარვარ.

ვუსმენდი გულისყურით. თხრობის დროს ერთი სიტყვაც არ ჩამირთავს. ვეცდები თქვენც ასე გადმოგცეთ მისი ნაამბობი:

— მე ხშირად ვნატრობ სიკვდილს...

არა. უიმედო, პესიმისტი ან იპოქონდრიით დაავადებული როდი გახლავართ. ღიმილი და მხიარულება სუნთქვასავით მჭირდება... ვიცი სიცოცხლის ფასი, „ვიცი საწუთრო მაინც სანუკვარია“, მაგრამ გული თუ მაინც ხშირად მიმძიმდება, ამაში დამნაშავენი სხვები არიან.

ჰო, ვგრძნობ ჩემს წამგებიან მდგომარეობას, ალბათ, იფიქრებთ — ეგ ვიღაც თავისთავზე შეყვარებულიაო. სულაც არა, კარგად ვიცი საკუთარი ნაკლი და ღირსება (რადგან ძალიან ვცდილობ თვითკრიტიკული ვიყო). ჩემი ადამიანური ღირსებაა — სწრაფვა სინათლისაკენ, სიმართლისაკენ; ნაკლი — უტაქტობა, აფექტურობა. მაგრამ რამდენჯერ გულისტკივილით შემინიშნავს, რომ ჩემზე უარესი მანკიერნიც თავს სრულყოფილ ქმნილებად სახავენ და ოდნავადაც არ გრძნობენ უხერხულობას, არ აწუხებთ სინდისის შინაგანი ხმა.

იშვიათი გულმოდგინებით ვკითხულობ მორალზე დაწერილ ყველა წერილს. ვკითხულობ, ვფიქრობ და ვაანალიზებ. ხშირად მებადება კითხვა — რატომ შუქდება მორალის თემა უმეტესად ვიწროდ, ცალმხრივად. ადამიანები ამ სფეროში რატომ ამჩნევენ მხოლოდ უკიდურესად პოლარულ საკითხებს და აინუნშიც არ მოსდით ის ზღვა მდინარება, ამ თემას რომ მოიცავს. გიამბობთ უბრალო, თუნდაც ჩემს გარშემო მომხდარ ამბებს.

მძღოლმა ავტობუსი დაამუხრუჭა, ბიძგი ძლიერი იყო, ფეხზე ვიდექი და კარგი დღე არ დამდგომია, მაგრამ ჩემი პირველი გაფიქრება იყო — „რა მოხდა“? გარშემო კი აურზაური ატყდა, რა სიტყვები არ აკადრეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლს.

გაფითრებულმა, შეურაცხყოფილმა მძღოლმა ძლივს მოიბრუნა სული.

— ხალხი არა ხართ? ლამისაა მანქანას დავეჯახე!

ვიგრძენი მძღოლის გულში დანთებული ცეცხლი და გავამხნევე.

— ნუ ღელავთ, განუსჯელთა მსჯავრი ანგარიშგასაწევი როდია.

ან ასეთი სურათი წარმოიდგინეთ:

ეზოში ბავშვები თამაშობენ. უცბად ერთი გოგონა (მისი დედიკო იქვე ზის სკამზე) მეორეს მთელი ძალით არტყამს მუცელში მუშტს. არაბუნებრივი შეკივლება ამხელს, რომ ბავშვს მეტად მტკივნეულ ადგილზე მოხვდა ხელი. თავდამსხმელის დედიკო შეშფოთებულია:

— ჩუმად, რა მტირალა ხარ, დედაშენს მართლა არაფერი ეგონოს. — შემდეგ ფანჯარაში თავგამოყოფილ ბავშვის დედას უსაბუთებს:

— პირველად შენმა გოგონამ ჩაარტყა.

სიცრუით გამწარებული ბავშვის თვალებს რომ აწყდება, ჩუმად ურჩევს თავისას:

— წადი, გაიპარე, თორემ შეიძლება შენც დაგარტყას.

ასეთი ამბავიც ხდება: საზოგადოებრივი სარგებლობის ეზოში სამი დამოუკიდებელი „კერძო“ ეზოა, ვიწრო სამანქანო გზად დარჩენილ ადგილზე ბავშვები ბურთაობენ. მოულოდნელად ბურთი ერთ-ერთ „კერძო“ ეზოში ვარდება, გამორბის იმ ეზოს დიასახლისი და ბურთს ეპატრონება.

— შენ აქ გუშინწინ ყვავილი გაგითელია. იცოდე, ხელ-ფეხს დაგამტვრევ, თუ ჩემს ეზოში მოგიხელთე. — ე. წ. „უაკტის“ ბინის მცხოვრებლები უსმენენ ამ დიალოგს და ვერაფერს ცუდსა და უკანონოს ვერ ხედავენ. უფრო მეტიც, ამხნევებენ კიდეც „მესაკუთრეს“.

ასეც ხდება:

სამსახურში რომელიმე თანამშრომელი გაგესაუბრება, გულს გადაგიშლის, დაიწყებს ცხარედ, გულმხურვალედ საუბარს იქ გამეფებულ უსამართლობაზე, სიცრუესა და თვალთმაქცობაზე.

— რა უნდა იმ თაღლითს, მექრთამეს ჩვენთან. რა გვაქვს მაგ უზნეო კაცთან საერთო. ახლახან ვიღაცას უსახელო განცხადება დაუწერია მის მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულზე. ეს რა, პირველი ხომ არ არის მისთვის? ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად აიღო ქრთამიც, რა ძნელია ასეთი უხამსობის ატანა. — თანამშრომელთა საერთო კრებაზე კი ხმაც არ ათრთოლებია, როცა ამბობდა:

— აქ ჩვენს ერთ თანამშრომელზე საკმაოდ უსაფუძვლო ცილისწამება დაიწერაო...

მსურდა, გამოეხედა ჩემსკენ, ნუთუ ნირს არ იცვლიდა, არ გაწითლდებოდა?! ვაგლახ, ვერ შევამოწმე. — იგი ჩემგან ზურგშექცევით იჯდა, თუმც, იქნებ ასე სჯობდა... ამ კაცს წლების განმავლობაში კარგ ადამიანად ვთვლიდი და მისმა ქცევამ შემზარა, ადამის მოდგმაზე დიდად გამიტეხა გული.

— რატომ? — ვკითხულობ გულისტკივილით, — რატომ არიან ასე ცოტა ადამიანური ადამიანები. შინაგანი სიწმინდის სურვილი ან მედგარი სულისკვეთება რამ გაუქროთ, რამ დაუკარგათ?

— ცხოვრებამ, ჩემო კარგო, ცხოვრებამ გათელა ადამიანთა ამაყი და ღირსეული სული, — ვიცი, ასე იტყოდა ზოგიერთი, ვისაც ცხოვრება მუდმივ ბალ-მასკარადად და ფიანდაზით დაფენილ გზად წარმოუდგენია.

— ჩემს შვილებს რომ მოშივდეთ, არაფერს არ მოვერიდები, ტყუილსაც ვიკადრებ, ქურდობასაც და... მხოლოდ კაცი ვერ მოვკლა, იქნებ, — გულახდილად აღიარა ერთმა და დაასკვნა: — ალბათ, უმეტესობა ასე მოიქცევაო.

— ტყუილია! — შეედავა მეორე. — დედაჩემმა 30-მანეთიანი ხელფასით გამომზარდა. პურის ფულიც გვიჭირდა, არამც თუ ტანსაცმელი და ფუფუნების საგნები. რამდენჯერმე დონორობით აღებული ფულით მიყიდა საჭმელი. მაგრამ, არასდროს ფიქრადაც არ მოსვლია უკეთურ გზაზე დადგომა.

— ბევრი ლუკმაპურისათვის კი არა (ასე ჩვენთან ახლა ნამდვილად არავის უჭირს), სწორედ ფუფუნებისათვის ვარდება წუმპეში. მაგრამ გავა წლები, ფუფუნების ამაოებას ადრე თუ გვიან შეიგნებს და რაკი დაკარგულ სინდისს ვერ დაიბრუნებს, უჩნდება ავადმყოფური ჩვევა — ყველგან და ყოველ წუთს ილაპარაკოს პატიოსნებაზე. ისინი საბრალონიც არიან და სასაცილონიც... საბრალონი — რადგან თავის დროზე უარი თქვეს ყველაზე შესაშურ, დიდ ფუფუნებაზე — შინაგანი სიწმინდის შენარჩუნებაზე, სასაცილონი კი — იმიტომ, რომ ჰგონიათ ბიწიერებით დამახინჯებულ მათ სახეზე ვერავინ წაიკითხავს „ამაოთა ამაოების“ ეპიზოდებს.

დღესდღეობით კი ასეთები ამაყად ყელყელაობენ, ჰგონიათ „ცხოვრებას გონივრულად ვიხმართო“ და ენამახვილურად დასცინიან ყველას და ყველაფერს, რაც მოდური არ არის, რაც არ ელავს და არ ბრწყინავს. მათ ათასი ხვრელი და მისამართი იციან თავიანთი ჭიის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ „არაფერი იციან“, როცა საქმე სხვას ეხება, არა თუ თვითონ გამოექომაგებიან უსამართლოდ დაჩაგრულს, არამედ ასეთი რამისთვის სხვასაც დასცინებენ.

„ინტრიგანი!“ ზიზღით ბურტყუნებს ერთი გარეწარი კაცი პრინციპული და მართალი ქალის მისამართით, რომელმაც ამხილა მისი გამომძალველობა, სახელმწიფო სახსრების მითვისება და ამხანაგ-კოლეგების ძარცვა. და ამაში უჩვეულო არაფერია, აკი ძველთაგან არის ცნობილი, რომ ავლაფდასხმული სხვას მუდამ გამეტებით ესვრის ლაფსა და ქვა-გუნდას, სხვას ლანძღავს, ადანაშაულებს, თვითონ კი ოდნავადაც არა გრძნობს სინდისის ქეჯნას, თავისუფლად დააბიჯებს გულმოწყალეთაგან კალოლებული, ურცხვად შეჰყურებს მისგან გაქურდულ ადამიანებს თვალებში და „რაციონალურ გამომგონებლობას“ აღწევს გაღვიძებული მადის დასაკმაყოფილებლად.

მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ, უფრო შორსაც... ხომ ბევრია თქვენს ნაცნობთა შორის ნიჭიერი, განათლებული, ტალანტით დაჯილდოებულნიც. მაგრამ რა ცოტა, თითზე ჩამოსათვლელია მათ შორის სულმაღალი და გულნათელი ადამიანები. აბა კარგად გაიხსენეთ, რომელი მათგანი გამოგადგებოდათ სულიერ საყრდენად ძნელბედობაში, რომელი არ გაგწირავდათ, არ გადაგაბიჯებდათ, არ მიგატოვებდათ; რომელ მათგანს გააჩნია თვითანალიზის უნარი, რომელი ჰკითხავს საკუთარ თავს — „ხომ არ ვცდები?“, „მართალი ვარ კი ნამდვილად?“ ან ვინ დაისახავს უმაღლეს იდეალად მხოლოდ სიმართლის, ჭეშმარიტების ძიებას?!

— არა, პასუხს არა გთხოვ... დარწმუნებული ვარ მათ თითებზეც ჩამოთვლით.

— არა, „ურწმუნო თომა“ არ გახლავართ. მჯერა, რომ ადამიანში კეთილი საწყისი სძლევს ბოროტს. მათგან სიკეთეს მუდამ მოველოდები. ვიცი, დიდი გარეწარიც ზოგჯერ შედრკება, უკან დაიხევს, ხელს აიღებს ამაზრზენ საქმეზე. მაგრამ ცხოვრების გამოცდილება მაინც მჭერმეტყველებს, რომ ყველა ნიჭზე ძვირფასია ნიჭი სიმართლისა, პატიოსნებისა.

ზოგჯერ ჩვენს ირგვლივ გულმოკლული დააბიჯებენ „უნამუსო და სულმდაბალი კაცუნების გასამათრახებლად“ მოწოდებული სულმაღალი და ძლიერი გონების ადამიანები. ისინი რაკი არა და არ ექვემდებარებიან „გარემოს შეგუების ბიოლოგიურ კანონს“, ცდილობენ, პირიქით, თვით გარემო გარდაქმნან ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების შესაფერისად. ასეთი ადამიანები მუდამ ფასობდნენ და დღესაც, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებასაც სწორედ ასეთი ზნემაღალი და მებრძოლი სულისკვეთების პიროვნებანი ალამაზებენ.

მე როდი ვიცი, ისინი „ტიპიურნი“ არიან თუ არა და რა პერსპექტივაა მათი რიცხობრივი მომრავლებისა, ერთი კი ცხადია, სანთლად გვინთია მათი სულის ნათელი და ჩვენი ვალია მათი ცნობა, დაფასება, ჭეშმარიტი სილამაზისა და ფუფუნების მათეული საზომით გაზომვა...

თქვა და დადუმდა. ისევ წიგნს ჩაუღრმავდა. არაფერი უკითხავს. თავიც არ აუწევია. მაგრამ ვიგრძენი მთელი მისი არსება მოლოდინს შეეპყრო.

აუცილებელი იყო ორიოდე სიტყვის თქმა, თუნდაც ძუნწად, გაკვრით.

— თქვენი ნაამბობიდან ბევრი რამ ჩემთვისაც საცნაურია — ვთქვი გულახდილად. — ვიცი, რომ ფსიქოლოგიურად მართალი ბრძანდებით. მაგრამ ლოგიკურ სიმართლესთან მაინც სცოდავთ, და იცით რატომ? — სულ უბრალო მიზეზის გამო — თქვენ არ გაგიმართლათ, მსახურობთ ძალიან ცუდ კოლექტივში, ცუდ ხელმძღვანელ მუშაკებთან.

— ვითომ მხოლოდ ამიტომ?! — ურწმუნოდ იკითხა მოსაუბრემ და ისე შემომხედა, რომ შევკრთი და უნებლიედ მეც ჩავიბრუნე გულში ეს კითხვა.

ლ. ჩინჩალაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარნაულში, ალტაის სამედიცინო ინსტიტუტში მსუქან ქალებს იოგას სისტემის ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსს სთავაზობენ. მეცადინეობას ატარებს და მეცნიერულ დაკვირვებას ეწევა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ  პ რ ი ბ ი ლ ო ვ ს კ ი. ვბეჭდავთ მის წერილს.

# მუდამ კოხტა ტანი რომ გქონდეს







რამდენიმე წელია, ჩვენს პოლიკლინიკაში ზედმეტი წონის მქონე ქალები იოგას სისტემით ვარჯიშობენ. პრაქტიკამ დაგვიდასტურა ამ სისტემის ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსის ეფექტურობა. ჩემი პაციენტები 20-დან 70 წლამდე ასაკის ქალები არიან. უკვე 2-4 თვის რეგულარული მეცადინეობის შემდეგ ისინი 5-დან 12 კილოგრამამდე იკლებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ წონა ნორმალური ხდებოდა.

ვარჯიშის შესწავლას რამდენიმე მეცადინეობა სჭირდება, შემდეგ კი ქალები სახლში დამოუკიდებლად განაგრძობენ ვარჯიშს. წონაში დაკლებასთან ერთად, ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, უმაღლდება შრომის უნარი, უწესრიგდება კუჭ-ნაწლავის მუშაობა, კარგად სძინავს. ამ დადებითი ძვრების პირველი ნიშნები ქალებმა მეცადინეობის დაწყებიდან 5-10 დღის შემდეგ შეამჩნიეს. ქალებს შიმშილის გრძნობაც აღარ აწუხებთ, თუმცა რაციონში მკვეთრად ზღუდავენ ცხიმს, ტკბილეულს, ცომეულს. ეს იმიტომ ხდება, რომ ვარჯიში შესანიშნავად არეგულირებს მადას.

ივარჯიშეთ კარგად განიავებულ ოთახში, უმჯობესია — დილით, თუმცა შეიძლება დღის განმავლობაშიც, ოღონდ აუცილებლად მშიერ კუჭზე. ძილის წინ ვარჯიში მიზანშეწონილი არ არის. სავარჯიშოდ პატარა ფარდაგი იქონიეთ, რომელსაც ვარჯიშის შემდგომ დაფერთხავთ და შეინახავთ. დედათა წესის დღეებში მხოლოდ სუნთქვითი ვარჯიშები ჩაატარეთ.

ვარჯიშთა მოცემული კომპლექსის შესრულებისას სასურველი არ არის სხვა ვარჯიშების ჩატარება. პირველ ორ კვირას კარგად რომ აითვისოთ, მხოლოდ სუნთქვითი ვარჯიშები შეასრულეთ.

ვარჯიშთა ეს კომპლექსი ძირითადად მსუქანი ქალებისთვისაა გამიზნული. მაგრამ მისი შესრულება ყველას შეუძლია, ვისაც სურს ჯანმრთელი, ხალისიანი და ენერგიული იყოს.

ზედმეტი წონის მქონე ქალებს ვთავაზობთ კომპლექსი შეავსონ გამწმენდი ოყნით (ორ კვირაში ერთხელ) და კვირაში თითო განტვირთვის დღით.

დილის ტუალეტის შემდეგ უნდა დაჯდეთ და მშვიდად, აუჩქარებლად დალიოთ ერთი ჭიქა ცხელი წყალი, შემდეგში, წონაში რომ დაიკლებთ და კუჭ-ნაწლავიც მოგიწესრიგდებათ, ცხელი წყალი თბილი წყალით შეცვალეთ. წყლის მიღების შემდეგ შეასრულეთ ვარჯიში:

**1. სრული სუნთქვა.**

საწყისი მდგომარეობა: დგახართ, ფეხები შეერთებულია, ხელები ჩამოშვებული, მხრები პასიურად ჩამოყრილი, მუცელი ამოსუნთქვის შემდეგ შეწეული (1). ამ მდგომარეობიდან დაიწყეთ ნელი შესუნთქვა ცხვირით, ასეთი თანმიმდევრობით: ჯერ ნელა გამობერეთ მუცელი (2), მერე ქვედა ნეკნები და გულმკერდის ღრუს შუა ნაწილი, მუცელი კი ამ დროს ოდნავ შეზნიქეთ (3), და ბოლოს, მთლიანად გააფართოვეთ

და წინ გამოსწიეთ მკერდი და აზიდეთ მხრები (4). ამ ეტაპზე შესუნთქვა მთავრდება და შეიძლება დაიწყოთ ამოსუნთქვა, რომელიც აგრეთვე ცხვირით ხდება, რაც შეიძლება ნელა, შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ამოისუნთქავთ მუცლის შეზნექის ხარჯზე (5), მერე — ქვედა ნეკნებისა და გულმკერდის ღრუს შუა ნაწილის ხარჯზე, და ბოლოს, ამთავრებთ ამოსუნთქვას მხრების დაშვებით, და ამგვარად, კვლავ უბრუნდებით საწყის მდგომარეობას (1). ახლა უნდა გააკეთოთ პაუზა და არ ისუნთქოთ, რის შემდეგ კვლავ დაიწყებთ შესუნთქვას ზემოთ აღწერილი თანმიმდევრობით.

სუნთქვის ცალკეულ . ფაზებს შორის დროში თანაფარდობა ინდივიდუალური იქნება თითოეული დამწყებისათვის. უნდა ისუნთქოთ რაც შეიძლება ნელა, ნარნარად, მშვიდად, ოღონდ მაინც რეკომენდებულია შემდეგი თანაფარდობა: შესუნთქვაზე — — 4,6 ან 8 მაჯისცემა, ამდენივე ხანი ამოსუნთქვაზე, ხოლო ამოსუნთქვის შემდეგ პაუზასაც შესუნთქვისათვის საჭირო დროის ნახევარი დასჭირდება. ჩვევის ნელ-ნელი გამომუშავების კვალობაზე ყოველი პაუზის ხანგრძლივობას თანდათან გაზრდით.

თავდაპირველად ვარჯიში 3-4-ჯერ სრულდება (შესუნთქვა-ამოსუნთქვა ერთს უდრის), შემდეგი კვირეების მანძილზე ვარჯიშთა რაოდენობა 15-20-მდე უნდა გაზარდოთ. ძილის წინ სასურველია სუნთქვითი ვარჯიშის გამეორება. ეს დაგამშვიდებთ და კარგ ძილს მოგგვრით.

სრული სუნთქვის შესრულების შემდეგ გადადიხართ შემდეგ ვარჯიშებზე:

2. **გამწმენდი სუნთქვითი ვარჯიშები.**

ა) საწყისი მდგომარეობა: დგახართ. ორივე ფეხის ცერები და ქუსლები შეერთებულია, მკლავები ჩამოშვებული, იყურებით პირდაპირ (6), რამდენჯერმე ენერგიულად ამოისუნთქეთ ცხვირით (ღრმად, შესუნთქვის გარეშე). შემდეგ რიგრიგობით დაიწყეთ შესუნთქვა-ამოსუნთქვა, ჯერ ნელა, შემდეგ ტემპი აუჩქარეთ. ისუნთქეთ არაღრმად. თვალყური ადევნეთ, რომ მხრები და კორპუსი უძრავად გქონდეთ. ამ ვარჯიშის შესრულება ორთქლმავლის ქშენასა ჰგავს. ვარჯიში თავდაპირველად 10-ჯერ გააკეთეთ, მერე 2 კვირის მანძილზე თანდათან 25-მდე აიყვანეთ (ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა ერთს უდრის).

ბ) საწყისი მდგომარეობა იგივეა, მაგრამ თავი რაც შეგიძლიათ უკან გადაწიეთ და ზევით იყურეთ (7). გაიმეორეთ იგივე სუნთქვითი ვარჯიშები.

გ) საწყისი მდგომარეობა იგივე, მაგრამ ახლა იატაკს უყურეთ ფეხის თითებიდან ერთნახევარი ნაბიჯის დაშორებით (8). გაიმეორეთ იგივე ვარჯიშები.

დ) საწყისი მდგომარეობა იგივეა, ოღონდ ნიკაპი მკერდს დააბჯინეთ და ფეხის თითების წვერებს უყურეთ (9). გაიმეორეთ იგივე ვარჯიშები.

**3) სუნთქვითი ვარჯიში, სუნთქვის შეკავებით.**

საწყისი მდგომარეობა: დგახართ, ფეხის ცერები და ქუსლები მიტყუპებულია, ხელები ჩამოშვებული, ზურგი გამართული, იყურებით პირდაპირ, სუნთქავთ თავისუფლად, ცხვირით. სრული ამოსუნთქვის შემდეგ ცერები მოუჭირეთ ნესტოებს, დანარჩენი თითები შეაერთეთ. იდაყვები მხრის დონეზე გაქვთ. ტუჩები დაამრგვალეთ, პირით შეისუნთქეთ რაც შეიძლება მეტი ჰაერი, აივსეთ ფილტვები და პირის ღრუ ისე, რომ ლოყები გამოგებეროთ. ნიკაპით მკერდს დაეყრდენით, ისე რომ ზურგი არ მოხაროთ (10). ასეთ მდგომარეობაში დარჩით, სანამ შეგიძლიათ, თან გუნებაში ითვალეთ და, ეცადეთ, ყოველდღიურად გაადიდოთ სუნთქვის შეკავების ხანგრძლივობა. შემდეგ თავი ასწიეთ ისე, როგორც საწყის მდგომარეობაში, ხელები დაუშვით და ნელ-ნელა ამოისუნთქეთ ცხვირით. ვისაც მომატებული სისხლის წნევა აქვს, ამ ვარჯიშის შესრულებას არ ვურჩევთ.

**4) ვარჯიში მუცლის კუნთების გასამაგრებლად.**

ა) სწორად დადექით, ფეხის ცერები და ქუსლები შეაერთეთ, ხელები დაუშვით, ზურგი გამართეთ, იყურეთ წინ. ერთდროულად, ცხვირიდან ამოსუნთქვასთან ერთად, რამდენადაც შეგიძლიათ, შეზნიქეთ მუცელი (11), შემდეგ შესუნთქვასთან ერთდროულად მაქსიმალურად გამოწიეთ წინ (12). თავიდან ვარჯიში ნელა შეასრულეთ, აუცილებლად დაიცავით სუნთქვისა და მუცლის მოძრაობის სინქრონულობა. ვარჯიშის კარგად ათვისების შემდეგ, თანდათან გაზარდეთ სისწრაფე 5-დან 40-50-მდე.

ბ) საწყისი მდგომარეობა იგივეა, რაც წინა ვარჯიშში, ზედატანი წინ გადმოხარეთ 45° კუთხით, ხელები კი წელზე დაიწყვეთ ცერა თითებით წინ. იყურეთ პირდაპირ. ზურგი გამართულია, მხრები — გაშლილი. შეასრულეთ იგივე მოძრაობები მუცლით (13, 14).

გ) ფეხები დადგით მხრების სიგანეზე, მუხლები ოდნავ მოხარეთ, ტანი რამდენადმე წინ გადმოხარეთ, ხელებით კი მუხლებს დაებჯინეთ. წინ იყურეთ, მხრები გაშალეთ, შეასრულეთ იგივე მოძრაობები მუცლით (15, 16).

შემდგომში „ა“, „ბ“ და „გ“ ვარჯიშებს გააკეთებთ შეკავებულ სუნთქვაზე: ცხვირით ამოისუნთქავთ, შეაჩერებთ სუნთქვას და მუცელს შეზნიქავთ და გამოზნიქავთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოასწრებთ, ვიდრე ჩაუსუნთქავად გაძლებთ.

ეს ვარჯიში გულით დაავადებულებს ეკრძალებათ!

**5). კობრას პოზა.**

საწყისი მდგომარეობა: დაწექით პირქვე ხელისგულებით დაეყრდენით იატაკს. ხელისგულები მხრების ხაზზე დაბლა უნდა იყოს. გააკეთეთ სრული შესუნთქვა და ნელ-ნელა წამოწიეთ თავი, მხრები და, ბოლოს მკერდი. იყურეთ ზევით, ხელებით ეყრდნობით იატაკს. წამოწევისას ხერხემლის არეში უნდა იგრძნოთ დაძაბულობა, რომელიც ტანის წამოწევის კვალობაზე კისრის მალებიდან გადაეცემა წელის მალებს. ჭიპი იატაკს არ უნდა მოცილდეს.

ამ პოზაში (18) შეაჩერეთ სუნთქვა 5-12 წამით, რის შემდეგ ნელი ამოსუნთქვით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 10 წამით შეისვენეთ და გაიმეორეთ ვარჯიში კიდევ 3-4 ჯერ.

**6. ვარჯიში წელისათვის.**

საწყისი მდგომარეობა: ფეხები მხრების სიგანეზე, ზურგი გამართეთ, იყურეთ წინ, ხელები აწიეთ ზევით ხელისგულებით წინ (19), შეისუნთქეთ ცხვირით და, შეიკავეთ სუნთქვა, ნელ-ნელა გადმოიხარეთ წინ და ეცადეთ ხელისგულები იატაკს დაადოთ, ისე რომ ფეხის თითებსაც ეხებოდეთ. მუხლები არ მოხაროთ. შემდეგ თავი გაყავით ხელებს შუა (20), ნელა ამოისუნთქეთ ცხვირით და ამ მდგომარეობაში შეაჩერეთ სუნთქვა 3-6 წამით; რის შემდეგ შესუნთქვასთან ერთად ნელ-ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ 3-5 ჯერ. არ იდარდოთ, თუ მაშინვე ვერ გააკეთეთ. რამდენიმე კვირის სისტემატური ვარჯიში და სხეულს თქვენს ნებაზე დაიმორჩილებთ.

**7. ბეჭყირა.**

საწყისი მდგომარეობა: ზურგით დაწექით, შეისუნთქეთ, აწიეთ ფეხები ზევით, მერე ოდნავ წამოწიეთ მენჯი და ქვევიდან ხელები შეუყენეთ. შემდეგ ფეხები თავს ზემოთ გადაიტანეთ. სხეული მხოლოდ ბეჭებს უნდა ეყრდნობოდეს (21), ნიკაპი მკერდს დააბჯინეთ! ისუნთქეთ თანაბრად ცხვირიდან მხოლოდ მუცლით. ამ მდგომარეობაში დაჰყავით პირველ დღეებში მხოლოდ რამდენიმე წამს, 2-3 კვირის შემდეგ კი — 2-5 წუთი. საწყის მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეთ თანდათანობით, ძალიან ნელა, ჯერ ტანი დაუშვით, მერე — ფეხები და მაშინვე გადადით შემდეგ პოზაზე — სრულ მოდუნებაზე.

**8. მკვდრის პოზა.**

საწყისი მდგომარეობა: დაწექით ზურგზე, ფეხები შეაერთეთ, მკლავები ტანს მიაკარით. დახუჭეთ თვალები, ჯერ სხეულის ყველა კუნთი დაჭიმეთ, მერე კი უცბად მოადუნეთ. ამ დროს თავი გვერდზე გადაგივარდებათ, მკლავები აქეთ-იქით გადაგიცვივდებათ, ფეხები გაგეშლებათ (22). ასეთ მდგომარეობაში ეცადეთ მიაღწიოთ სხეულის ყველა კუნთის სრულ მოდუნებას ფეხის თითებიდან სახემდე. გონებით გააკონტროლეთ — მოახერხეთ თუ არა სხეულის ყველა კუნთის მოდუნება. არაფერზე არ იფიქროთ. 5-10 წუთის შემდეგ წამოდგებით, თავს ისე იგრძნობთ, თითქოს დაისვენეთ.

წარმატებას მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც სისტემატურად და ბეჯითად ივარჯიშებს და თანდათან გაზრდის ყოველდღიურ დატვირთვას. ხოლო როგორი შეიძლება იყოს ეს დატვირთვა, ამის შეფარდების მთავარი კრიტერიუმი თქვენი თვითშეგრძნება გახლავთ.

## პაპაჩემი და სალამურები

საწყალ პაპაჩემს
სალამურის გათლა უყვარდა,
თხოვნით მეტყოდა —
„გამომართვი, დაუკარ, შვილო!
კვლავ გამახსენე,
რა ფერის მზე იცის მუხრანთან,
გრძელი ნაბადი,
ლურჯი მთები და ლილო-ჭრილო.
ბალღივით არი,
ეგ ტიალი ბალღივით არი...
სადღა ეტევა
ამოდენა დარდი და სევდა“.
ცრემლს ვერ იჭერდა
დაშრეტილი მარცხენა თვალი
და მელოდიას
მოცახცახე თითებით რევდა.
და მერე, როცა
დასასრულმა უწია ზღაპარს,
როცა დაქანდა თავდაღმართზე
მისი ურემი,
თბილი ღიმილი
შერჩენოდა ულვაშთან პაპას
და ბალღებივით
წიოკობდნენ სალამურები.

მანანა ჩიტიშვილი

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# ყველაფერი ცომისაგან

თუ საფუვრიანი ცომის მოზელვისას ხელებს ზეთში დაისველებთ, ცომი ხელზე აღარ მიგეკრობათ.

ცომის მოსაზელად ფქვილს კი ნუ ჩაყრით რძეში ან წყალში, არამედ პირიქით, სითხე თანდათანობით, წვრილ ნაკადად ჩაასხით ფქვილში და აურიეთ.

საფუვრიანი ცომი განსაკუთრებით ნაზი და ჰაეროვანი გამოვა, თუ გამოცხობის წინ შიგ ჩაუმატებთ წვრილ სახეხზე გატარებულ მოხარშულ კარტოფილს (2-3 კარტოფილი 1 კგ ფქვილზე).

თხლად გაბრტყელებული ცომის თუნუქის ფურცელზე გადატანა ძნელია. ამიტომ ასე მოიქეცით: ცომს ფქვილი მოაპნიეთ, საბრტყელებელ ჯოხზე დაახვიეთ, გადაიტანეთ თუნუქის ფურცელზე და იქ გაშალეთ. ასე ცომი არ გაიხევა.

ცომი უკეთესად გამოცხვება, თუ ღვეძელს ირგვლივ ტაფაზე ან თუნუქის ფურცელზე ცარიელ არეს დაუტოვებთ.

თუ საფუვრიან ცომს შაქარი დააკლდა, ღვეძელი აღარ დაიბრაწება. შაქრის სიჭარბე კი ცომის ამოსვლას უშლის ხელს. ძალიან ტკბილ ბისკვიტს გული გამოუცხობელი ურჩება. ასე რომ შაქრის დოზა ზუსტად რეცეპტის მიხედვით უნდა დაიცვათ.

ჭარბი ცხიმი, ღვეძელს შესახედაობას უფუჭებს — ფორმას უკარგავს, გულს კი უმაგრებს.

მოზელის წინ ფქვილი უეჭველად უნდა გაცრათ. ამით ის ჟანგბადით გამდიდრდება და ცომი კარგად ამოვა.

რბილი, წებოვანი ცომი ადვილად გაბრტყელდება, თუ პერგამენტის ქაღალდს დააფარებთ. კიდევ ერთი ხერხი: ასეთი ცომი ცივი წყლით ავსებული და თავდაცობილი ბოთლით გააბრტყელეთ.

თუ მოზელის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ცომს მარილი აკლია, მარილი სულ ცოტა წყალში ან რძეში გახსენით, ცომს შეურიეთ და კიდევ კარგად მოზილეთ.

როცა ერბოზელილ **(сдобное)** ცომს აცხობთ, ტაფას ცხიმს კი ნუღარ წაუსვამთ, სულ ოდნავ წყლით დაასველეთ.

ნუ წაუსვამთ ღვეზელს ნაპირებზე კვერცხის გულს, თორემ გამოცხობისას ნაპირები გაუმაგრდება და ცომს აფუების საშუალებას არ მისცემს.

კექსს რომ ხასხასა ყვითელი ფერი ჰქონდეს, ამისათვის ნამცხვრის მომზადებამდე რამდენიმე საათით ადრე კვერცხის გული ერთ მწიკვ მარილთან შესრისეთ და გრილად შეინახეთ, შემდეგ კი ცომში იხმარეთ.

ფუნჩულა **(ПОНЧИК)** და ღვეზელა ყველაზე უკეთ იბრაწება ერთმანეთთან შერეულ 30 პროცენტ ღორის ქონში, ამდენივე საქონლის ცხიმსა და 40 პროცენტ ზეთში.

ცხიმს ქაფი რომ არ მოადგეს, შიგ ერთი მწიკვი მარილი ჩაყარეთ.

როგორ უნდა შეატყოთ, საკმაოდ გაცხელდა თუ არა ზეთი ღვეზელების გამოსაცხობად? — ჩააწვეთეთ შიგ 2-3 წვეთი წყალი. თუ წყალი ცხიმის ზედაპირიდან მაშინვე აორთქლდება ეს იმას ნიშნავს, რომ ღვეზელების ჩაყრის დროა. ხოლო თუ ფსკერისაკენ წავიდა, მაშასადამე, ჯერ ადრე ყოფილა.

ჩვეულებრივი ხილფაფა ტკბილღვეზელასთვის არ ვარგა, რადგან ძალიან თხელია. ის ან დაადუღეთ ან 2-3 სუფრის კოვზი დანაყილი ორცხობილა ჩაუმატეთ. ამრიგად შესქელებული ხილფაფით გამოტენილი ტკბილღვეზელა ძალიან გემრიელი გამოდის.

ვთქვათ, ღვეზელი ტაფის ძირს მიეკრა. როგორ ავაცალოთ? რამდენიმე წამით ჩავდგათ ტაფა ცივ წყალში ან ორთქლს ზემოთ დავიკავოთ.

ტორტის ბისკვიტი გამოსაცხობად ცხელ ჰაერღუმელში არ შედგათ, თორემ გარედან გამაგრდება, გული კი ცომი დარჩება. ჰაერღუმელი ზომიერად უნდა იყოს გამთბარი, ცეცხლი დაბალი უნდა იყოს. თუ ფორმას გვერდები არ ეხსნება, მზა ბისკვიტი ერთი წამით დადგით სველ ცივ ტილოზე — ასე ის ადვილად ამოვა ფორმიდან. ახლადგამომცხვარ ბისკვიტს ცივ ადგილას ნუ დადგამთ, თორემ ჩავარდება.

თბილი, ფაფუკი კექსი გაცხელებული დანით გაჭერით, რომ არ მოითელოს. უფრო კარგი იქნება, თუ მსხვილ ძაფს გაჭიმავთ და ამ ძაფით ფრთხილად ჩამოაჭრით სასურველი ზომის ნაჭერს.

თუ ნამცხვარი მიგეწვათ, გააცივეთ, ფრთხილად გადაუსვით წვრილი სახეხი და ზევიდან შაქრის პუდრი მოაყარეთ.

ნამცხვარი რომ არ გამოხმეს, თიხის ჭურჭელში ან პოლიეთილენის პარკში შეინახეთ.

ბისკვიტი არ გახმება, თუ მუყაოს კოლოფში მასთან ერთად გაჭრილ ვაშლს მოათავსებთ.

მარგარინით მოზელილი ცომის ნამცხვარი დიდხანს ინარჩუნებს სირბილეს, არ ხმება.

გობი ან თასი, რომელშიც ცომი მოზილეთ, ჯერ ცხელი წყლით გარეცხეთ, მერე კი — ცივით.

ხმარების შემდეგ საცერი ცივ წყალში გარეცხეთ და გააშრეთ, თორემ ფქვილის ნარჩენი ბადურას გაწებავს და ამოქოლავს. თუ საცერი ჯაგრისით ვერ გაწმინდეთ, რამდენიმე წამს ცეცხლის ალზე დაიჭირეთ.

ჰაერღუმელის თუნუქის ფურცლები ჯერ ცხელი წყლით გარეცხეთ, მერე — ცივ წყალში გახსნილი სოდით, ბოლოს კი მშრალი სუფთა ჩვრით გაწმინდეთ.

პურის საფუარი დიდხანს გაძლებს, თუ ფქვილში ან წვრილად დაფქულ მარილში შეინახავთ.

როცა ჰაერღუმელში ნამცხვარი გაქვთ შედგმული, კარები არ მიუჯახუნოთ, თორემ შეიძლება ნამცხვარი ჩავარდეს.

## ჩვენი მწვანე აფთიაქი

# ჭინჭარი

ჭინჭარი ჭინჭრისებურთა ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რომლის ღერო და ფოთლები დაფარულია მსუსხავი ბუსუსებით. საქართველოში ჭინჭარი საყოველთაოდ გავრცელებული მცენარეა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭინჭარს დიდი ხანია იყენებენ მრავალგვარი დაავადების სამკურნალოდ. „ვინცა ჭინჭარისა ფოთოლი დანაყოს და ან ასურიმოს, და ორივ ცხვირი გამოიტენოს, ცხვირსა სისხლი დასწყვიტოს და თუ ჭინჭარი მარილითა მოხარშოთ და თბილი მსივანსა ალაგზედა დაიდვან, უსათუოდ სიმსივნეს უშველის და დააცხრობს“. — წერს დავით ბატონიშვილი.

ჭინჭრის ნახარშს ასმევენ ავიტამინოზურ ბავშვებს. ჭინჭარი ხელს უწყობს ზრდას, ხალხი მას ხმარობს რევმატული ანთების დროს, ჭრილობების შესახორცებლად, სქესობრივი უძლურების შემთხვევაში, მწვანე ან ხაკის ფერი საღებავის მისაღებად. ჭინჭარი აგრეთვე საუკეთესო მხალეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერულ მედიცინაში ჭინჭარს ხმარობენ როგორც „ც“ ვიტამინის შემცველს. სამკურნალოდ იყენებენ ჭინჭრის ფოთლებს, რომლებსაც ზაფხულში აგროვებენ და აშრობენ ჩრდილში. ჭინჭრის ფოთლებს ხმარობენ ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ანემიის, კუნთებისა და სახსრების რევმატიზმის, წყალმანკის, კანის ეგზემის, ნაღვლისა და ღვიძლის ანთების, ბუასილის, შეკრულობის, კუჭის ტკივილების, კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, ჭრილობების შესახორცებლად და სხვა, აგრეთვე მეძუძური დედებისათვის რძის მომგვრელად. ფოთლების ნახარშს იყენებენ თმისცვენის დროსაც, 100 გრ დაფხვნილ ფოთოლს ხარშავენ ნახევარ ლიტრ წყალსა და ნახევარ ლიტრ ძმარში 30 წუთის განმავლობაში. ამ ნახარშით იბანენ თავს ძილის წინ. 4 ჩაის კოვზ დაფხვნილ ფოთოლს ერთ ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალს ასხამენ. ამ ნაყენის საფენებს ხმარობენ პირველი ხარისხის დამწვრობის დროს. ჭინჭრის ფესვების ნახარშს კი ხმარობენ სისხლიანი ხველების, ცხვირიდან სისხლის დენის, კანზე გამონაყარის, კუჭ-ნაწლავის აშლილობის, ურემიის დროს, აგრეთვე შარდის გამომდენად.

## შროშანა

შროშანა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, იზრდება 20-40 სმ სიმაღლისა, აქვს მოგრძო, წვეტიანი ფოთლები და დახრილყუნწიანი, ზარის მსგავსი თეთრი ყვავილი, გავრცელებულია დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ნაწილობრივ მთიულეთში. შროშანა სვინტრს გავს და ხშირად მასში ურევენ.

ქართულ ხალხურ მედიცინაში შროშანათი ძველთაგანვე წყალმანკს მკურნალობდნენ. ხალხის დაკვირვებით შროშანა აწესრიგებს გულის მუშაობას, ამავე დროს კარგი შარდგამომდენი საშუალებაა.

მეცნიერულ მედიცინაში შროშანას იყენებენ გულის მუშაობის მოსაწესრიგებლად, გულის ნერვული აგზნების დროს, გულის ნევროზის, არითმიების, ასთმის და სხვა დაავადებათა შემთხვევაში. შროშანას პრეპარატები ავადმყოფს ექიმის დანიშნულების მიხედვით უნდა მიეცეს.



### მექანიზაციის მსხვერპლი

ქალაქ მანჩესტერის სასამართლომ განიხილა საქმე განქორწინების შესახებ. ცოლმა განაცხადა, რომ მას აღარ შეუძლია ქმართან ცხოვრება, რადგან მან დატანჯა იგი მექანიზაციითა და ავტომატიზაციით: ბინაში ყველა კარს სინათლის სხივი აღებს, საპირფარეშოში შესვლისას მუსიკა უკრავს, ფანჯრებზე მიმაგრებულია სარეცხი საშუალებანი, ხოლო სკამები ელექტროენერგიით თბება.

სასამართლომ მეუღლეები განაქორწინა.

### ვის უნდა ეშინოდეს ბორმანქანის?

მანჩესტერის (აშშ) უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის პროფესორის მტკიცებით, ახლა ბორმანქანის ექიმს უნდა ეშინოდეს. მისი აზრით, ახალი ჩქაროსნული ბურღი, რომელიც წუთში 850.000 ბრუნს ასრულებს, ექიმს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. 30 წამის განმავლობაში კბილის ბურღვისას მას სახეში ეყრება 58 მილიონი მინანქრის ნაწილაკი, რომლებიც იწვევენ ბრონქიტს და აზიანებენ მხედველობას. გარდა ამისა, ჩქაროსნული ბურღების ვიბრაცია სმენასაც აქვეითებს.

### უადგილო ხუმრობა

ნიუ-იორკის მკვიდრმა, ოცდათექვსმეტი წლის ჰერალდ ვაგნერმა გართობა გადაწყვიტა. აკრიფა პოლიციის განყოფილების ნომერი და განაცხადა, რომ მის ბინაში ქურდები შეიჭრნენ. როდესაც პოლიციელები მივიდნენ, ვაგნერმა თქვა: მე მხოლოდ ვიხუმრე, თანაც მსურდა გამერკვია, თუ რამდენად ოპერატიულად მუშაობს პოლიციაო, სასამართლომ ხუმარა 500 დოლარით დააჯარიმა და დაავალდებულა, რომ სამი წლის განმავლობაში ქუდი მოიხადოს ყველა პოლიციელის წინაშე.

### ყველაზე საშიში ადგილი

აშშ-ს მოსახლეობისათვის ყველაზე საშიშ ადგილად ითვლება... სამზარეულო. სტატისტიკური მონაცემებით, შარშან საკუთარ სამზარეულოში დაიღუპა 26.500 და დაშავდა 3 მილიონი. ადამიანი. უბედური შემთხვევები ძირითადად საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების არასწორი ხმარების შედეგია.

მაგრამ, იქნებ, არც ხელსაწყოებია მთლად საიმედო?

### სამი ექსპერიმენტი

ჩეხოსლოვაკიაში ბავშვის ფიზიკურ აღზრდას დაბადებიდან ორი-ოთხი კვირის შემდეგ იწყებენ. ბავშვს 20-დან 60 წუთამდე ავარჯიშებენ. ვარჯიშთა კომპლექსი ისეა შედგენილი, რომ ცოცხალ, მკვირცხლ მოძრაობას მშვიდი, დინჯი მოძრაობა ენაცვლება. დაკვირვებებმა ნათელყო, რომ ბავშვები, რომლებსაც რეგულარულად უტარდებათ ვარჯიში, უფრო აქტიურები არიან, კარგადაც ძინავთ და მადაც შესანიშნავი აქვთ. ისინი წონაში სწრაფად იმატებენ, შემდეგ თამაშსა და ლაპარაკსაც უკეთესად ახერხებენ, ადრე იწყებენ ცოცვას და სიარულს. მაგალითად, ნავარჯიშევ 5-6 თვის ბავშვს თავისუფლად უჭირავს თავი შვედურ კედელზე, 8-9 თვისა კი დამოუკიდებლად ადის მის საფეხურებზე.

* * *

რამდენიმე წლის წინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ ტუბერკულოზურ საავადმყოფოში გადაწყვიტეს — ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობის სისტემისათვის ერთი ახალი მეთოდი დაემატებინათ: მათ სულიერ სამყაროზე მოეხდინათ ზემოქმედება სპეციალურად შერჩეული ლიტერატურით. მიღებული შედეგების ანალიზმა მეცნიერები დაარწმუნა, რომ მკურნალობის ეს ახალი მეთოდი — ბიბლიოთერაპია თავისი ეფექტით არაფრით ჩამოუვარდება შრომით თერაპიას.

* * *

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გადაწყვიტეს მაიმუნებისათვის ჟესტების ენა ესწავლებინათ. ორი წლის განმავლობაში მაიმუნებმა 140 „ჟესტი-სიტყვა“ შეისწავლეს და ახლა მათი მეოხებით ესაუბრებიან ერთმანეთს. მაიმუნები ხალისით უსრულებენ ერთმანეთს ჟესტებით გამოხატულ თხოვნას.

გარეკანის პირველ გვერდზე — ალექსანდრა ვოუბა, სოციალისტური შრომის გმირი, ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე; მეოთხე გვერდზე — ჟანეტა არჩვაძე, საქართველოს ტელევიზიის დიქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი. ფერადი ფოტოები დ. იაკობაშვილისა და გრ. სეირანიანისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 14/II-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-74 წ. ქაღალდი. ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 125.000. შეკვ. 627 უე 01691 ფასი 30 კაპ.

# მოდა

1974 წლის მოდა კვლავ გვთავაზობს ტანსაცმლის კლასიკურ ფორმებს, რომლებმაც თავისი პრაქტიკულობით და გარეგნული ღირსებებით ქალების საყოველთაო აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში.

ერთი შეხედვით მოდა უარყოფს თავის ძირითად პრინციპს — არ შეაქვს ტანსაცმელში მკვეთრი ცვლილებები, თვალში მოსახვედრი ფორმებითა და ელემენტებით. მოდის ბუნებისათვის ეს უჩვეულო მოვლენა მეტად საგულისხმოა და შემთხვევითი არ არის.

ტანსაცმელში კლასიკური ფორმების დამკვიდრების ტენდენცია უკვე რამდენიმე წელია შეიმჩნევა. ამის მიზეზი თანამედროვე ქალის საქმიან, ინტელექტუალურ ბუნებაში უნდა ვეძიოთ. მან დროულად ირწმუნა ტანსაცმლის კომპლექტურობის უპირატესობა და ისწრაფვის მაქსიმალურად მოხერხებული გარდერობი შექმნას ტანსაცმლის ცალკეული ელემენტების გონივრული შეხამებით. მანვე თავისი ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარით გარკვეული გავლენა მოახდინა მოდის ხასიათზეც, ზოგიერთი „წვრილმანით" — თავისი ხელით მოქსოვილი ჟილეტით, სამკაულით თუ დეკორატიული შარფით უკვე კარგად ნაცნობ ძველ ფორმებს სიახლე და სინატიფე შემატა.

ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი, მაინც არის სიახლე.

**1974** წლის მოდა უპირატესობას აძლევს ზედა ტანსაცმელში ქურთუკებს, ჟაკეტებს და ნახევარპალტოებს, კაბებთან შედარებით — ქვედატანს მამაკაცის პერანგის ტიპის ბლუზებით, სახელოს — რეგლანსა და კიმანოს.

კვლავ უპირატესობა ეძლევა სწორ სილუეტს და რაც მთავარია, მოდიდან გამოდის სქელლანჩიანი ფეხსაცმელი ე. წ. „პლატფორმებზე".

ლ. ხვედელიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა